

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: ქართული ლიტერატურა

მაია დარჩიაშვილი

არჩილ ჯორჯაძე XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის
ისტორიკოსი და კრიტიკოსი

ნაშრომი შესრულებულია ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ლადო მინაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი

2019

სარჩევი

ანოტაცია	3
Annotation	5
შესავალი.....	7
თავი I	
ქართველი რომანტიკოსები ალექსანდრე ჭავჭავაძე და ნიკოლოზ.....	10
ბარათაშვილი არჩილ ჯორჯაძის ნააზრევში.....	10
თავი II	
უურნალი „ცისკარი“, დანიელ ჭონქაძე, ლავრენტი არდაზიანი არჩილ ჯორჯაძის თვალთახედვით	20
თავი III	
ილია ჭავჭავაძე არჩილ ჯორჯაძის დახასიათებით.....	25
თავი IV	
სამოციანი წლები, თაობათა ბრძოლა არჩილ ჯორჯაძის შეფასებით	29
თავი V	
ქართველი მწერლები არჩილ ჯორჯაძეზე არსებულ მოგონებებში	35
დასკვნა	42
დამონმებული ლიტერატურა:	46

ანოტაცია

ნაშრომომ მიზნად ისახავს ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, პუბლიცისტის, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მკვლევარის არჩილ ჯორჯაძის ლიტერატურული-კრიტიკული მემკვიდრეობის განხილვას. საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა კრიტიკოსმა ქართველ რომანტიკოსებზე, კერძოდ ალ. ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის მემკვიდრეობის შესახებ. არჩილ ჯორჯაძისათვის მიუღებელია დიდი ხელოვანის პოეზიის ცალმხრივად განხილვა და მისი გუნება-განწყობილების ოდენ გარემო პირობებით, სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით ახსნა. აუცილებელია მწერლის ბუნების, მისი ტემპერამენტის შემოქმედებითი პროცესების შესწავლა, რომ უფრო ობიექტურად და სიღრმისეულად წარმოსდგეს პოეტური სინამდვილე. ნიკოლოზ ბარათაშვილს არჩილ ჯორჯაძემ გამორჩეულ პოეტად, გენიალურ შემოქმედად სახავს. ბარათაშვილის გენიალობის გასააზრებლად არჩილ ჯორჯაძისათვის სავსებით მისაღებია ილიასეული ხედვა ზოგადსაკაცობრიო სატკივართ ნ. ბარათაშვილის გენიალობის ახსნისა, ვიდრე იმით, რომ საქართველოს მძიმე პოლიტიკური ვითარება შექმნია ნიკოლოზ ბარათაშვილის დროს.

არჩილ ჯორჯაძემ საგანგებოდ დაახასიათა 50-იანი წლები „ცისკრის“ როლი ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესწავლიასთვის. „ცისკრის“ „დიდი დამსახურებაა „სურამის ციხის“ და „სოლომონ ისაკიჩ მეტლანუაშვილის“ გამოქვეყნება.

არჩილ ჯორჯაძემ დიდი ადგილი დაუთმო ქართული აზროვნების ისტორიაში იაღია ჭავჭავაძეს. შეეხო მის ისეთ ნაწარმოებებს, რომლებშიც იკვეთება მწერლის ეროვნული იდეალები. იდეალები, რომლებიც არჩილ ჯორჯაძის თქმით გენიალურია, მუდამ პროგრესული და მოწინავე. არჩილ ჯორჯაძემ საგანგებოდ შეაფასა ილიას მოთხრობები: „მგზავრის წერილები“ და „კაცია-ადამიანი“.

არჩილ ჯორჯაძის ლიტერატურულ-კრიტიკულ ნააზრევში დიდი ადგილი დაიკავა 60-იანი წლების დახასიათებამ, ხოლო ამ დახასიათებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს თეორიის დონეზე არსებულ შეხედულებას „თაობათა ბრძოლაზე“ ანუ „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლაზე. აზრი 60-იან წლებში „თაობათა ბრძოლაზე“ ანუ „მამათა“ და

„შვილთა“ დაპირისპირებაზე აღრეც ილია ჭავჭავაძის სიცოცხლეშიც იყო გავრცელებული. სწორედ ილია ჭავჭავაძე იყო ის დიდი მოაზროვნე, რომელმაც ხმა აიმაღლა თაობებად საზოგადო მოღვაწეთა დაყოფის შესახებ და მათ შორის დაპირისპირებისა და ბრძოლის შესახებ. ილიამ წარმოადგინა თვალსაზრისი ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების შესახებ. ილიას ბრწყინვალე „წერილებიდან“ ერთი ეტიუდის გამოქვეყნებამ არსებითად არეფერი შეცვალა და არჩილ ჯორჯაძის მიერ კონცეფციის თვალსაზრისით მოწოდებული შეხედულება საყოველთაოდ იქნა გაზიარებული ქართველ მკვლევართა მიერ. მოგვიანებით XX საუკუნის 50-იან წლებში ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისზე დაყრდნობით პროფესორმა გრიგოლ კიკნაძემ 60-იანი წლების პოლემიკის კონკრეტული მასალის ანალიზის საფუძველზე თვალნათლივ დაასაბუთა სრული უსაფუძვლობა „თაობათა ბრძოლის“ თეორიისა, რომ 60-იან წლებში გამართული პოლემიკა არაა დასტური მოკამათეთა შეხედულებების დიამეტრული სხვაობისა, პრინციპულ შეუთავსებლობისა და მათ შორის ბრძოლისა, რომ არჩილ ჯორჯაძემ ჩვენს სინამდვილეზე გადმოიღო რუსულ ვითარებაზე მორგებული კონცეფცია, რაც ფაქტობრივად ჩვენს რეალობას არ ესადაგებოდა.

ზოგიერთი ნაკლოვანებების მიუხედავად არჩილ ჯორჯაძის ნააზრევს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცალკეული ქართველი მწერლების მემკვიდრეობის შეფასებისას ქართული ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

საინტერესოა ასევე არჩილ ჯორჯაძის შესახებ არსებული მოგონებები, სადაც ცალსახად იკვეთება მისი, როგორც ლიტერატორის მახვილი თვალი. ნშრომში განვიხილავთ ჩვენი თემისთვის საინტერესო მოგონებებს სადაც გამოხატულია არჩილ ჯორჯაძის შეფასება და დამოკიდებულება ქართველი მწერლების შესახებ. მართალია მასალა არც ისე ბევრია, თუმცა მისი თავმოყრა და შეფასება საინტერესო და მნიშვნელოვანია.

Annotation

Archil Djordjadze is a famous political figure, publicist, public thinking history researcher and the main purpose of this work is a literary criticism of his heritage. Critic expressed notable opinions about Georgian romantics, specifically – about Alexander Tchavtchavadze and Nikoloz Baratashvili's heritage. Archil Djordjadze deemed unacceptable discussing great artist's poetry unilaterally, deriving characteristics of their work from environmental conditions and social-political situations. It is a necessity to study the nature of a poet, creative processes of his/her temperament for poetic reality to manifest itself more objectively and in depth. Nikoloz Baratashvili is also described by Archil Djordjadze as an outstanding poet, genius creator. For understanding Baratashvili's genius, Ilia's view towards general, universal pain is more acceptable for Archil Djordjadze, then dire political environment of Georgia, during which Nikoloz Baratashvili was active.

Archil Djordjadze gave honorable mention to "Tsiskari" (dawn) in researching and studying history of Georgian public opinion in 50s. Great merit of "Tsiskari" is publishing of "The stronghold of Surami" and "Solomon Medjganuashvili, the son of Isaac".

Archil Djordjadze vastly considered Ilia Tchavtchavadze as a developer of Georgian historical thinking. He discussed the work, where writer's national ideals are clearly defined. Ideals, which, according to Archil Djordjadze are genius, always progressive and ahead of its time. Archil Djordjadze specifically rated Ilia's stories: "letters of a traveler" and "Katsia-Adamiani" (is a man a human?!).

Big part of Archil Djordjadze's literal-critical work is description of 60s, which is centralized about theoretical view of "struggle of generations" – dispute between "fathers" and "sons". Vox populi about "struggle of generations" – dispute between "fathers" and "sons" was popular even during Ilia Tchavtchavadze. Hence, Ilia Tchavtchavadze was the one who voiced his opinion about fragmentation of public figures into different generations and their confrontation. Ilia made a supposition about development of Georgian public opinion. The publication of one of Ilia's brilliant early work "Letters" changed everything and the concept of

view, delivered by Archil Djordjadze was shared publicly by Georgian researchers. Later, in 50s of the XX century, based on Ilia Tchavtchavadze's perspective professor Grigol Kiknadze, based on specific material analysis of 60s controversy clearly demonstrated the groundlessness of "Struggle of Generations" theory, that the polemics held in the 60s did not prove the diametrically distorted differences of their principle, or incompatibility of principles and mutual struggle, that Archil Djordjadze tried to apply the concept of Russian reality to ours, which, in this matter was not applicable. Despite some shortcomings, Archil Djordjadze's contemplation is of great importance, when assessing the succession of Georgian writers in the history of Georgian literature and public thinking.

Besides, existing memories about Archil are also interesting and noteworthy, which distinguishes his sagaciousness towards literature. In this work will be discussed interesting memories, which are relevant to this topic, where Archil's attitude, criticism towards Georgian writers are assessed. While it is true, that there is no surplus of material, finding and assessing it is of the essence.

შესავალი

გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ნიჭიერი პუბლიცისტი, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მკვლევარი, ფილოსოფოსი ლიტერატურული კრიტიკოსი არჩილ ჯორჯაძე სამოღვაწეო ასპარეზზე მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა, მან თავდადებული შრომის შედეგად, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას თავისი შთამბეჭდავი კვალი დაამჩნია.

არჩილ კონსტანტინეს ძე ჯორჯაძე დაიბადა თბილისში 1872 წელს. არჩილ ჯორჯაძეს განათლება მიუღია თბილისის პირველ გიმნაზიაში, რომელიც 1892 წელს დაამთავრა. სწავლობდა რუსეთის, ინგლისის, შვეიცარიისა და საფრანგეთის სასწავლებლებში. უცხოეთში ყოფნის დროს მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან. ესენი იყვნენ: მიხაკო წერეთელი, გიორგი დეკანოზიშვილი, თედო სახოკია და სხვა. სწორედ მათი ძალისხმევითა და დაუღალავი შრომის შედეგად 1903–1905 წლებში არჩილ ჯორჯაძის პარიზში ყოფნის დროს დაარსეს ჟურნალი „საქართველო“, რომელიც ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოდიოდა. 1900 წელს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი აქტიურად ებმება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არჩილ ჯორჯაძე იყო „ცნობის ფურცელის“ მუდმივი თანამშრომელი და კოლეგიის წევრი. არჩილ ჯორჯაძე მუდამ თავის ერის ინტერესებს უღებდა საფუძვლად თავის საზოგადოებრივ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. ერთ თავის მეგობარს არჩილ ჯორჯაძე წერს: *“...ჩემს არსებაში, ხშირია ისეთი მომენტები, როდესაც მე ნამდვილი „საზოგადო მოღვაწის“ სული მამოძრავებს და როდესაც მთელი ჩემი სულიერი განწყობილება თავს იყრის ჩემი სამშობლოს მტანჯველი პრობლემების გარშემო, მე საოცრად მიტაცებს, ძველი, მრავალსაუკუნოანი ქართული კულტურა და ხალხი, მიტაცებს აზრი, რომ მისი აღორძინების ხანა იწყება, მაგრამ ეს აღორძინება ფრიალ მძიმესა და პირდაპირ ტრაგიკულ პირობებში ხდება. ბრძოლა რუსეთის სახელმწიფოებრიობასა და ქართულ კულტურასა და ხალხს შორის მძაფრ გამოძახილს პოულობს ჩემს სულში და მე არ მინდა უკან დავიხიო და არც არასოდეს დავიხევ უკან. მართალია, მე მიყვარს ცხოვრების ემპირიული გარსი, მაგრამ ასეთი სულიერი განწყობილების გავლენით*

ადვილად ვიტყვი უარს უსინანულოდ და უსევდოდ ცხოვრების ჭრელ ფერადებზე“ [წონელია, 1992: 16]. როგორც ამ წერილიდან ირკვევა, არჩილ ჯორჯაძეს მოღვაწეობა მეტად რთულ პერიოდში მოუხდა. რუსული რეაქციის გაძლიერების მძიმე წლებში, როდესაც იდეენობადა ყოველი ეროვნული. არჩილ ჯორჯაძემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ჩამოყალიბებაში. ამაზე მიუთითებს მისი ნაშრომები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ ლიტერატურული ღირებულება და სახელმძღვანელოდაც იყენებენ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულებში არჩილ ჯორჯაძის მემკვიდრეობის განხილვისა და შეფასებისას. მნიშვნელოვანია ის, რომ არჩილ ჯორჯაძემ კიბა აბაშიძესთან, გერონტი ქიქოძესთან და ალექსანდრე ხახანაშვილთან ერთად XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის საზოგადოებრივი აზროვნების დასაბუთების პარალელურად ქართული ლიტერატურის ისტორიის შეფასება და განხილვა მოგვცა. არჩილ ჯორჯაძის როლი რომ დიდია ქართული საზოგადოებრივი აზროვნების და ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით ამაზე მიუთითებს აკაკის სიტყვები, რომელიც მას უნდა წარმოეთქვა ა.ჯორჯაძის დასათვალაფებზე. თუმცა ეს მსცოვანმა პოეტმა ვერ მოახერახა, რადგან დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში “სახალხო გაზეთის“ რედაქტორმა არისტო ჭუმბაძემ პროცესიას მიმართა, რომ განსვენებულის ამხანაგებისა და ჭირუსუფლებისაგან დამოუკიდებელი მიზნის გამო მიცვალებულის ხსოვნის აღსანიშნავი სიტყვები არ იქნებოდა. პროცესიის მონაწილეებს სთხოვა მუხლ მოდერკითა და ღრმა ღუმლით ეცათ პატივი ძვირფასი ცხედრისთვის. მსცოვან პოეტს აკაკი წერეთელს წარმოუთქმელი დარჩა არჩილის სამარესთან სათქმელი უაღრესად ემოციური სიტყვა: *“კურთხეულ იყოს ის ქვეყანა, რომელიც შენისთანა საზოგადო მოღვაწეებს წარმოშობს ხოლმე. კრულ და წყეულ იყოს ის გარემოებაც, რომელიც უდროოდ სატაცებს ხელიდან ცხოვრებას შენისთანა ნიჭიერ ახალგაზრედებს. ახალგაზრდა, შენ დიდ იმედებს იძლევიანობდი მომავლისათვის და ჩვენც ვამბობდით გუნებაში “ჩვენ წარმავალი ვართ, მოვლენ სხვები, უფრო მომზადებულნი, უმეტესის ენერჯით და ჩვენს ნაკლს გულწრფელად შეავსებენ. მაგრამ სამწუხაროდ, აღარ დაგვცალდა, რომ მოგეთავებინა დანყებული საქმე.*

მე კი, მოხუცი, როგორც მამა, საიშედო და სანუგეშო შვილის დამკარგავი, ვდგავარ შენ წინ და პირი მიშრება, სიტყვა ველარ მომიხერხებია, მაგრამ ამ დუმილში მეტი თანაგრძნობა იხატება, ვიდრე მრავალმეტყველებაში. მშვიდობით შვილო! სამარადისოდ იყოს შენი სახსენებელი“. მართალია, არჩილ ჯორჯაძეს სპეციალურად არ შეუქმნია ლიტერატურულ–კრიტიკული წერილები, როგორც კ.აბაშიძეს, ივ.გომართელს, მაგრამ თავის უხვად დაბეჭდილ პუბლიცისტურ წერილებსა და სტატიებში, სადაც ძირეულად არკვევს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის საკითხებს, ხშირად ვხვდებით ლიტერატურულ საკითხებზე და ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოების შესახებ მსჯელობას, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ ისტორიული ღირებულება და ქართული კრიტიკული აზროვნების სამაგალითო ნიმუშს წარმოადგენს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნია „მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის“.

სამაგისტრო ნაშრომში ჩვენ მიზნად ვისახავთ, ერთგვარად თავი მოვუყაროთ იმ დაკვირვებებს, მოსაზრებებს ქართველი მოაზროვნისას, რომლებიც ეხება XIX საუკუნის ქართულ მწერლობას და მის ცალკეულ წარმომადგენლებს.

თავი I

ქართველი რომანტიკოსები ალექსანდრე ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი არჩილ ჯორჯაძის ნააზრევში.

XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა ახალი ქართული მწერლობა. ეს ეპოქა შექმნეს ისეთმა დიდმა საზოგადო მოღვაწეებმა და მწერლებმა როგორებიც იყვნენ: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვანი. იმ თვალსაზრისით, რომ საქართველო რუსეთის ერთ-ერთი განაპირა პროვინცია გახდა პოლიტიკურად საბედისწერო გავლენა მოახდინა ჩვენს ქვეყანაზე, მაგარმ ქართული ლიტერატურის განვითარება მაინც სასიკეთოდ წარიმართა, იგი თანდათან გათავისუფლდა აღმოსავლური ზეგავლენისაგან და რუსეთის გზით დაიწყო დაკავშირება ევროპასთან. იწყება, როგორც ილია ამბობს “ჩვენი ლიტერატურის ევროპეიზაცია”. ახალი დროის ევროპული ლიტერატურის არსებით თავისებურებას წარმოადგენს მწერლის ყურადღების აქტივიზაცია ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი. ადამიანის სულიერი, ფსიქოლოგიური ცხოვრება არის მისი ასახვის მთავარი ობიექტი. რამდენადაც უაღრესად მრავალფეროვანია ცოცხალი ინდივიდის სამყარო, ამდენად, ამგვარმა მიდგომამ ამოუწურავ ასახვას ობიექტთა წინაშე დააყენა მწერლობა. ქართველ რომანტიკოსთაგან არჩილ ჯორჯაძე შედარებით თვართოდ ეხება ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას. “მასალებში ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის” არჩილ ჯორჯაძე საგანგებოდ გამოყოფს მაშინ ახალგაზრდა, მომთაველში პროფესორ ალექსანდერ ცაგარელის მიუხედავად გამოგზავნილ წერილს „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“ რომელიც გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა 1870 წელს. არჩილ ჯორჯაძე საერთოდ ილაშქრებს ცალმხრივად, მხოლოდ გარემო პირობების გათვალისწინებით და ამით ახსნილ დახასიათება-შეფასებას მწერლებისას და ამგვარ მიდგომაში იგი ხედავს ერთგვარ ხიფათსაც რუს მოაზროვნეთა რევოლუციონერ-დეკაბრისტთა დობროლუბოვის, პისარევის და სხვთა აზრების ფორმულირებას და ლიტერატურის უტილიტარული პოზიციიდან შეფასებისას.

ამ პოზიციიდან უდგება არჩილ ჯორჯაძე ალექსანდრე ცაგარელისეულ ალ.ჭავჭავაძის პოეზიის შეფასებას. შესაძლოა, არჩილ ჯორჯაძის აზრით, მართალიც იყოს, მაგრამ მაინც ცალმხრივია მიდგომა კრიტიკოსისა, როცა იგი ალ.ჭავჭავაძეს უწუნებს მოლხენის და სიყვარულის თემაზე დანერგილ ლექსებს. *ალ.ცაგარელის ფიქრით, რა თქმა უნდა კარგია სიყვარული, მისი ასახვაც, მაგრამ კარგია მაშინ, როცა კრძალავენ ამ გრძნობას და პოეტი არ ეპუება ამ აკრძალვას, უნდა რომ დაამსხვრიოს ეს შემფერხებელი ფორმა ასეთ შემთხვევაშიო, ფიქრობს არჩილ ჯორჯაძე, დიდ პატივისცემას იმსახურებს პოეტი, "მაგრამ ქელებში სიმღერა?" ქელებში სიმღერა ისევე საძრახისია, როგორც ქორწილში ტირილი"* [ჯორჯაძე,1989:245].

ალ. ცაგარელის დასკვნით, ვისაც ხალხის წინამძღოლობა უნდა, უნდა იცოდეს, სად, რა დროს რა არის საჭირო. არჩილ ჯორჯაძისათვის არ არის მისაღები ასეთი მიდგომა. მისი აზრით, უპირველეს ყოვლისა, უნდა იქნას გამოძიებული მიზეზი გლოვის დროს სიმღერისა; მაშასადამე არჩილ ჯორჯაძის აზრით, გაკიცხვა კი არა, მსჯავრის დადება კი არაა კრიტიკოსის საქმე ,არამედ ახსნა მოლხენისა, საზოგადო ახსნით პოზიციამზე დგომა. არჩილ ჯორჯაძის ეს მსჯელობა მეტად საყურადღებოა, ანგარიშგასაწევია. იგი არც სადღეისოდ კარგავს მნიშვნელობას. ალ.ცაგარელი არჩილ ჯორჯაძის აზრით, *ლმობიერია მზად არის აღიაროს "ნიჭიც და ექსპრესიაც" ალ.ჭავჭავაძის ლექსებისა, მაგრამ მასში ისე ღრმად არის ჩანერგილი მესამოცე წლების აზრი და მიზანი ლიტერატურის დანიშნულების შესახებ, რომ იგი მონადინებულია პოეტებს მოთხოვოს ანგარიში "ძველი თაობების შეცდომებისა და ძველი რეჟიმის უვარვისობისა"*[ჯორჯაძე,1989:245]. არჩილ ჯორჯაძე ფიქრობს, რომ ალ.ცაგარელის მსჯავრი სამართლიანია, მაგრამ ცალმხრივი. თითქოს თეორიულ ნიადაგზე დამყარებული, მაგრამ აქ, როგორც ყოველთვის მთავარი მსჯელობის დროს ყალბი ფსიქოლოგიური მეთოდია ნახმარი, კერძოდ ნაგულისხმევია, რომ ამგვარ და ამგვარ გარემოების და პირობას შეუძლიან წარმოშონ მხოლოდ ესა და ეს და არა სხვა ნაყოფი. მაგრამ ძალიან ხშირად ნაყოფი არ ემსგავსება და სრულიად სხვაგვარია. გარემოს შესწავლა არჩილ ჯორჯაძის მიხედვით, ბუნებრივია საჭიროა, მაგრამ ესთეტიკური ფენომენის შეცნობისათვის სრულიად არასაკმარისი. *"საჭიროა ავრეთვე სუბიექტური*

ანალიზი ინტიმურ სიცოცხლისა და შემოქმედებითი პროცესისა“ [ჯორჯაძე 1989:246]. ერთი სიტყვით იმისა რასაც ჩვეულებრივ მწერლის ფენომენს ვუწოდებთ.

არჩილ ჯორჯაძე ამგვარი საყურადღებო, დღესაც ანგარიშგასაწევი სრულიად ათავისუფლებს ალექსანდრე ცაგარელს მაშინ, როცა ეს უკანასკნელი მსჯელობს ნიკოლოზ ბარათაშვილზე. სანიმუშოდ არჩილ ჯორჯაძეს მოჰყავს შემდეგი ამონაწერი: „თუ თვალს გადავაუვლებთ ამ რკინისა და ფოლადის ნ. ბარათაშვილის ლექსებსა, მაშინვე წარმოიდგენთ კაცსა, რომელიც ყველზე მაღლა სდგას, ყველასაგან ერჩევა თავისი გრძნობით, ნიჭით და ხასიათით, იალბუზსავით მიუკარებელი, ცივი და მაღალი, მუდამ თავ და შუბლ დაბურული, როგორც ისევ იალბუზი, მარად გარემოხვეული გულისმკვლეელი და მომწყვლელი სევდის ნისლითა, რომლის ტანჯვისა და „განწირული სულისკვეთების“ მონამენი და თანამომიარენი მართო ეს ღრუბლები არიან, ყველასგან განდევნილი, უთუოდ ყველასგან მოძულეებული და ნამდვილად ყველასგან გაუგებარი“ [ჯორჯაძე, 1989:246]. შესაძლოა ალექსანდრე ცაგარელის მიერ მოხმობილი ეპითეტები და შედარებები დაცილებულნი იყვნენ ნ. ბარათაშვილის მღელვარე, ბობოქარი სულის მიახლოებით გამოხატვისაგან, მაგრამ მის პიროვნულ გამორჩეულობაზე კი მეტყველებდნენ და ჩანს არჩილ ჯორჯაძის ყურადღებასაც ამიტომ იქცევენ.

არჩილ ჯორჯაძის პოზიცია ხელოვანის შეფასების კრიტერიუმებზე მსჯელობისას რომ ურყევია, ამას ასაბუთებს მისი სტატია „პოეზიის სამფლობელოში“, რომელიც გრიგოლ რობაქიძის მიერ ნიკოლოზ ბარათაშვილზე 1909 წელს წაკითხულ ლექციას მიეძღვნა. არჩილ ჯორჯაძის შეხედულებები ნიკოლოზ ბარათაშვილზე გამოვლინდა ერთგვარ პოლემიკაში გრიგოლ რობაქიძესთან.

დიდი პუბლიცისტი ჩვენი საზოგადოების სულიერ გაზრდად, გემოვნების დახვეწად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ამ ბოლო დროს მას შეუძლია, მზად არის, რომ სამი და ოთხი საათი უსმინოს პოეზიის შესახებ სჯას შეგნებულად, მოწონება–დანუნების, თანაგრძნობის გამოაშკარავების უნარით.

გრიგოლ რობაქიძის ლექციაზე მოვიდა სწორედ საუკეთესო ნაწილი ჩვენი ინტელიგენციისა, ვინც არის დაინტერესებული ჩვენი მწერლობის სვე-ბედით, ვინც ლიტერატურაში ეძებს პასუხს „იმის შესახებ, რაც სულიერ სიღრმეში გამოუცნობელ

ამოცანად ეჩვენება, ვინც ეტრფიალება ოცნებას და ოცნებისადმი სიყვარულში ჰპოვებს ნუგეშს და შვებას“ [ჯორჯაძე,1989:16].

ლექციაზე საზოგადოება მიიზიდა, პირველყოვლისა, ლექციის საგანმა– ნიკოლოზ ბარათაშვილმა ხოლო, მეორე მხრივ, ლექტორმა, გრიგოლ რობაქიძემ, ნიჭით დაჯილდოვებულმა ადამიანმა, თან ისეთი ნიჭით, რომელიც დღემდე გამოუცნობელი რჩება ქართველი საზოგადოებისათვის თავისი მისტიკური ფილოსოფიის წყალობით.

ამავე საღმრთო მონანილება მიიღო კრიტიკოსმა ივანე გომართელმა. იგი შეეხო ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის მნიშვნელობას. განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის მელანქოლიის მიზგზზე, და ის აზრი განავითარა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის გენეზისს უნდა ვეძებდეთ საქართველოს იმდროინდელ სოციალურ–პოლიტიკურ მდგომარეობაში. საქართველო პრაქტიკულად აღარ არსებობდა, ვისი იმედიც ჰქონდა, ვისაც ხალხით ეგებებოდა, მასზე გული აიცრუა, იძულებული გახდა, იარაღი აეღო ხელში, მაგრამ დამარცხდა, თავი სასონარკვეთილებას მისცა და შემდგომ იდეალს მოკლებული და შინაგანად დასნეულებული უდარდელ ცხოვრებას დაენათა. ამ გარემოში აღიზარდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, მისი ნაღველი, სევდა და კაეშანიც. აქედან წარმოსდგება მისი პესიმიზმიც. ასეთი იყო დედააზრი ი.გომართელის საუბრისა.

მართალია დამსწრე საზოგადოება ლექტორს ბოლომდე ვერ დაეთანხმა, მაგრამ მით უფრო დიდი ინტერესით მოელოდა მეორე ლექტორს, რომელსაც სხვა ფილოსოფიური ნიადაგი ჰქონდა ი.გომართალეს რეალიზმიდან განსხვავებით.

„ფაქტობრივად გრიგოლ რობაქიძემ ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდა დააკავშირა ისტორიულ პირობებთან ისევე როგორც ი. გომართელმა. ივანე გომართელის პოზიცია საზოგადოებას არ გაჰკვირვებია, მისთვის ეს ბუნებრივი იყო. მაგრამ გრიგოლ რობაქიძისგან კი მოულოდნელი იყო ანალოგიური დასკვნები“[ჯორჯაძე, 1989–18]. არჩილ ჯორჯაძის მართებული თქმით, რეალურ პირობებს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის პიროვნების შემუშავებაში, მაგრამ იმის აღიარება, რომ სოციალურ– პოლიტიკური წყობილება ლოგიკურად არის დაკავშირებული „მარტოობის“ და ამოების პრობლემებთან, მაინც შეუძლებელია ამ პოზიციაზე რომ დავდგეთ,

იძულებული ვიქნებით, ვაღიაროთ, რომ პესიმიზმი და მარტოობის ძებნა მხოლოდ იქ უნდა დავიწყოთ, სადაც სოციალურ-პოლიტიკური ვითარება იძლევა ამის საფუძველს. ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა ახსნილიყო ინგლისელი პოეტის შელის პოეზია, რომელიც ხასიათდება ღრმა უკმაყოფილებით და სევდით. შელი კი ამაყი ბრიტანეთის შვილი იყო, რომელმაც განსაკუთრებულ სიძლიერეს სწორედ შელის ღროს მიაღწია.

არჩილ ჯორჯაძის სრულიად მართებული დასკვნით, " პირდაპირი კავშირის გაბმა პოეტის სევდა-კაემანსა, რომელიც წარმავლობა-ამაობით და მარტოობით არის განპირობებული და, მეორე მხრივ, სოციალურ-პოლიტიკურ გარემოს შორის მოუხერხებელია"[ჯორჯძე,1989:19].

დიდი პოეტები, არჩილ ჯორჯაძის თქმით, ჩვეულებრივ მარადიულ კითხვებს ენაფებიან. ბარათაშვილიც ასეთი დიდი პოეტი იყო. მისი ფილოსოფიური ინტერესი მარადიულ კითხვებს დასტრიალებდა. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ არჩილ ჯორჯაძესთან უკვე გარკვევით არის მითითებული ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ ადამიანის სიცოცხლის აზრის თავისთავად მის სიცოცხლეშივე დანახვის აუცილებლობა, რითაც მან საფუძველი გამოაცალა ადამიანის სიცოცხლის გაუფასურების იდეას, რამდენადაც ადამიანის სიცოცხლეს საზღვარ დაუდებელია, ხოლო მის მიერ შექმნილი ყველაფერი ნგრევას და წარმავლობას ექვემდებარება გავისხენოთ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „გოგჩა“. ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისთავად ადამიანის სიცოცხლე მიიჩნია ფასეულად და მოითხოვა ადამიანის სიცოცხლის აზრი თვით მისსავე სიცოცხლეში მოძიებულიყო.

არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, ნიკოლოზ ბარათაშვილი იმ პოეტთაგანი იყო, რომელიც სიცოცხლეს ისეთს იღებს, როგორიც არის თუმცა სიკვდილის პრობლემა ჩვენს წინაშე არის გამოუცნობელი, მაგრამ თვით სიცოცხლეში სანამ იგი ჩვენს ხელშია თვითმოქმედებასა და მოძრაობაში იმდენ ძალას და მშვენიერებას ვხედავთ, რომ ამ განუწყვეტელ შემოქმედების პროცესში ვპოვებთ სიცოცხლის ჰარმონიას და აზრს და „სიკვდილი არ გვაშინებს სანამ ცოცხლები ვართ“. მაგრამ პოეტებს ეს ვერ აკმაყოფილებს ბარათაშვილი იმ პოეტთაგანი იყო, რომელსაც სიცოცხლე თვითმოქმედებასა და მოძრაობაში ჰქონდა წარმოსახული. და მისი პოეტური ჩანგი და მისი ძებნა მარადისობისა

და მისი სასონარკვეთილება სიცოცხლის ამაოების გამო, გამონვეული იყო პოეტის ერთგვარ ფილოსოფიურ მიდრეკილებით და მისი ლირის ესთეტიურის ღრმა ჩახედულებით.

არჩილ ჯორჯაძესთან ერთგვარად უკვე ნაგრძნობია ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდი ჰუმანიზმი ადამიანის სიცოცხლის საზრისთან დაკავშირებით, რაც შემდგომ ასეთი მწყობრი თვალსაზრისის სახით წარმოადგინა ლიტერატურაში. ერთგან ვკითხულობთ: „მრავალმა რომანტიკოსმა მიატოვა რეალური ადამიანი ისინი თითქოს გაიტაცა განყენებულმა მსჯელობამ სიცოცხლის რაობაზე. ეს პოეტები კონკრეტულ პიროვნულ-ადამიანური განცდების დახასიათების მაგივრად თავისებური ლოგიკური მსჯელობის გზას დაადგნენ და, რაკი მათი ამოსავალი თვალსაზრისი ადამიანის რეალური მოთხოვნილებებით არ იყო განსაზღვრული, ჯანსაღი, სიცოცხლეს მონყურებული ადამიანისთვის მიუღებელ ყალბ დასკვნამდეც მივიდნენ. უარყვეს ადამიანის ცხოვრების აზრი და თავიანთი მსჯელობის ბუნებრივი დასასრული პესიმისტურ თვალსაზრისში გამოხატეს.“

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია აშკარად გამოირჩევა ასეთ რომანტიკოსთა შემოქმედებისგან, მეტიც ადამიანის არსებობის საკითხის მიმართ მისი პოეზია საპირისპირო მიდგომას ამჟღავნებს. ამ საკითხის განხილვისას, ისე როგორც საერთო, ნიკოლოზ ბარათაშვილმა უკუაგდო ცოცხალი ადამიანის მოთხოვნილებათაგან განდგომა. შესაძლოა, ამბობს ბარათაშვილი, ჩვენი ყოფა-ნუთისოფელი მხოლოდ ამაოება იყოს, შესაძლოა ადამიანები მართლაც „აღიძვრიან იმავე მიწისთვის და რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!“ შესაძლოა ამ ქვეყანასაც ერთხელ ბოლო მოეღოს და წარისოცოს ხსოვნა ადამიანთა სახელისა... მგრამ აქედან მაინც არ შეიძლება ადამიანისათვის მიუღებელი იმ დასკვნის გამოტანა, რომ სიცოცხლე უაზრობაა. ასეთი დასკვნა სრულიად არ ეგუება ადამიანის რეალურ ინტერესებს. ასეთი დასკვნის გამოტანა შეუძლია მხოლოდ ცხოვრებისგან განყენებულ არსებას, და არა ადამიანს, რომელიც განიცდის სიცოცხლეს“ [კვიციანი, 1956:169–170]. როგორც ზემოთ ითქვა, გროგოლ რობაქიძემ, არჩილ ჯორჯაძის ფიქრით, საკმარისი ნათელი ვერ მოჰფინა ამ საკითხს და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვას შეეძლო

ნიკოლოზ ბარათაშვილის გულში შეექმნა და შეემუშავა შინაარსი მთელი მისი შემოქმედებისა.

ერთობ საგულისხმოა, რომ მოგვიანებით ილია ჭავჭავაძის ერთი უერთგულესი მოწაფე, მისი ღვაწლის ღირსეულად შემფასებელი არჩილ ჯორჯაძე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის განხილვისას ნიმუშად იხდის ილია ჭავჭავაძის „მოკლე და საკვირველის ზომით და ჩაფიქრებით დაწერილ წერილს“ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის შესახებ [ჯორჯაძე, 1989:21].

არჩილ ჯორჯაძის მიხედვით, ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდის განსაზღვრებაში ილია ჭავჭავაძე გადამწყვეტ მნიშვნელობას არ აძლევს პოლიტიკურ ვითარებას მხოლოდ თავისი წერილის ბოლოში¹ ამბობს: *„არც ბარათაშვილი იყო უიმისო, რომ გულში დარდად არ ჰქონოდა ბედი ქართლისა“* [ჯორჯაძე, 1989:21]

ილია ხაზს არ უსვამს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის გარემოებას და მაინც და მაინც აქედან არ გამოჰყავს ბარათაშვილის სევდის შინაარსი: *„ილიას აზრით ვაება კაცობრიობისა ის არის, რომე მიზეზი აქვს ძებნისა, ეძებს და ვერ უპოვნია. აი, სად არის სათავე ადამიანის სასონარკვეთილებისა ყოველისთვის უარყოფისა, რომელიც მოგჯერ, ხანდახან ისე დაიპყრობს ხოლმე მოაზრე კაცობრიობასა და „შავად მღელვარის“ ფიქრებით ავსებს ადამიანის ცხოვრებასაო“* [ჯორჯაძე, 1989:21].

თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდის მიზეზის განხილვაში არჩილ ჯორჯაძეს მიუღებლად მიაჩნია გრიგოლ რობაქიძის, როგორც თავად აღნიშნავს, რეალისტური პოზიცია, სამაგიეროდ საკუთრივ სიყვარულისა და პოეტის სულიერი დრამის ანალიზისას, *„შეუდარებელი იყო, აგრეთვე, ბუნების სიახლოვით გამონვეული გრძნობების ანალიზისას, მაგრამ ყოველივე ეს არაფერს უმატებდა იმ განმარტებაში, რომელიც გრიგოლ რობაქიძემ მისცა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის გენეზის“* [ჯორჯაძე, 1989:21] აქ კვლავ და კვლავ არჩილ ჯორჯაძე ილიას გონივრულ მიდგომას უპირისპირებს გრიგოლ რობაქიძის შეხედულებას ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდის

¹იგულისხმება გაზ. „ივერიაში“ 1892 წელს დაბეჭდილი სტატია „ნიკოლოზ ბარათაშვილი (პატარა ეტიუდი ერთის წერილიდამ ამოღებული) ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულის რედაქტორმა პ. ინგოროყვამ აღმოაჩინა მთლიანად ეს წერილი, საიდანაც არის ამოღებული ეტიუდი ნ. ბარათაშვილზე და დასტამბა შემდეგი სათურით „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ (ჭავჭავაძე, 1953:197–231)

სათავის ძიებაზე. არჩილ ჯორჯაძე ისევ მიმართავს ამ შემთხვევაში ილიას ციტირებას: „განა შეტყობა იმისა თუ, – რა არის ცაში, ან ცის იქეთ, მუდამის წყურვილით შესატყობარი არ არის ერთობ ადამიანისათვის? განა ამის ვერ მიღწევის უღონობა ზოგადკაცობრიული ჩივილი არ არის უძღურებისაგანა? ამეებში ტრიალი გონებისა არ არის ზოგადკაცობრიობის გაუთავებელი ტრიალი იმ საიდუმლოების უძირო მორევში, რომელსაც არც თავი აქვს, არც ბოლო, და არც ჰო და არც არაო“?[ჯორჯაძე,1989:21–22]. ნიკოლოზ ბარათაშვილის კონკრეტულ ნაწარმოებებზე საუბრის თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ სულისკვეთების არჩილ ჯორჯაძისეული შეფასება. არჩილ ჯორჯაძეს გაუმართლებლად მიაჩნია გრიგოლ რობაქიძისეული ინტერპრეტაცია ამ ლექსისა. გრიგოლ რობაქიძის ლექციის მიხედვით, „მერანში“ ისახება პოეტის უკიდურესი სასონარკვეთილება. *„ბარათაშვილის სულისკვეთება მის სასონარკვეთად იქცევა. იგი მოსწყდა მსოფლიოს და უფსკრულში უნდა შთაინთქას. ამ თვითმკვლელობის წინ იგი უხმობს თავის პოეტურ ფანტაზიას, თავის მერანს, რომ ქვესკნელში გადაფრინდეს“*[ჯორჯაძე,1989–22].

ამ შემთხვევაშიც არჩილ ჯორჯაძე გრიგოლ რობაქიძის აზრს უპირისპირებს სავსებით მართებულად ილია ჭავჭავაძის შეფასებას. ილიას აზრით, „მერანში“ პოეტი ბედს უცხადებს ომს და ეს ლექსი სასონარკვეთილების გამომხატველი არ არის. არჩილ ჯორჯაძეს მოჰყავს ვრცელი ამონაწერი ილია ჭავჭავაძის ეტიუდიდან ნიკოლოზ ბარათაშვილზე, სადაც დიდი ილია მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორ აირჩია ნიკოლოზ ბარათაშვილმა „მერანი“; ე.ი. თავისი სულის ქროლვას რომ ეს საზღვარი ბედისა გაარღვიოს (ხაზგასმა არჩილ ჯორჯაძისა) და ნიავს მისცეს თავისი „შავად– მღელვარე ფიქრი“, რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს. ისე, როგორც ბაირონის კაენმა ამისათვის ლუციფერი ხოლო გოეთეს ფაუსტმა მეფისტოფელი აირჩია.[ჯორჯაძე,1989:22].

იმას, რაც, სავსებით მართებულად იპყრობს ილია ჭავჭავაძის ნააზრევში არჩილ ჯორჯაძის ყურადღებას, შემდგომ კვლევა–ძიებას საგანგებოდ გახაზავს და ადასტურებს ამ მხრივ ილიას ღვანლს, კერძოდ, როგორც აღნიშნავენ, „ცალკეულ საკითხთა განხილვისას მისი მზერის არეში ერთობლივადაა მოქცეული ნიკოლოზ ბარათაშვილის

თითქმის ყველა ლირიკული შედევრი. ხოლო როცა ცაკეულ ლექსს ანალიზებს, მისი ხედვის მაშტაბები მეტად ფართოა და ყოვლისმომცველი. მაგალითად „მერანის“ აზრობრივ-შინაარსობრივ თავისებურებებზე მსჯელობისას ის ფიქრობს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ უკვდავი ქმნილების ბადალი შეიძლება იყოს მხვატრული სიტყვის გიგანტთა თხზულებანი, როგორცაა ბაირონი, გოეთე და შექსპირი [ევგენიძე,1998:201–202].

დიდი მკვლევარი გრიგოლ კიკნაძე სტუდენტებისთვის გამიზნულ სახელმძღვანელოში ასე აფასებს ნიკოლოზ ბარათაშვილის სწრაფვას თავისუფლებისაკენ და კერძოდ კი მის შედევრს მერანს, „თვალბედითი ყორნისგან გაქცევა“, რაზეც ბარათაშვილი ლაპარაკობს, სინამდვილეში გამორიცხავს არა ამ ცხოვრებიდან გაქცევას, არამედ ცხოვრების გარდაქმნისაკენ სწრაფვას. ასე გამოაცალა ნიკოლოზ ბარათაშვილმა საფუძველი პესიმისტურ პრინციპს და მკითხველთა შეგნებაში საზოგადოებრივი ოპტიმიზმის ნათელი სხივი შეიტანა. ცხოვრების გარდაქმნაში დაინახა პოეტმა ადამიანის არსებობის აზრი ამ ლექსებში მკაფიოდ მიუთითა, რომ ბედის საზღვრის გადალახვა, მართალია დიდ მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ იგი მისაწვდომია, თუ ადამიანი არა მარტო ისურვებს, არამედ ეცდება მის გადალახვას, თუ იგი დაინახავს თავის შესაძლებლობებს და იბრძოლებს ამ შესაძლებლობათა წრის გაფართოებისათვის. ამით ბარათაშვილმა არა თუ ეჭვის ქვეშ დააყენა ფატუმის გარდუვალობა, არამედ ადამიანური ძალები დაუპირისპირა აქამდე მიუწვდომელსა და ყოვლისშემძლე ფატუმს და ბედზე გამარჯვების რწმენით შეპყრობილმა გაბედულად განაცხადა:

„გასწი, გაფრინდი, ჩემო მეროანო, გარდამატარე ბედის სამზღვარი,

თუ აქამომდე არ ემონა მას, არც ან ემონოს შენი მხედარი!“

შეიძლება ითქვას, რომ „მერანში“ ასე აშკარად გამოვლინებული გამბედაობა მეტნაკლებად წამყვანია ბარათაშვილის მთელ შემოქმედებაში“ [კიკნაძე,1956:180–181].

როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე თავის დამოკიდებულებას, ქართველი რომანტიკოსებისადმი კერძოდ კი ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის მიმართ ავლენს პოლემიკური წესით. კერძოდ დიდი პუბლიცისტი ალექსანდრე ცაგარელის მიერ მიუხეხილად გამოგზავნილ წერილში „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ

საუკუნეში“ წარმოდგენილ შეფასებას ალექსანდრე ჭავჭავაძისას, ამ პოეტის შემოქმედებაში მოქალაქეობრივი გულისტკვილის არ ქონას და მეტად მომლხენი და სასურველი თემის გაშლისას პრაქტიკულად ეთანხმება, მის შენიშვნას იმსახურებს მხოლოდ მიდგომა ალექსანდრე ცაგარელისა საკითხისადმი პუბლიცისტს არ მიაჩნია მართებულად სოციალურ–პოლიტიკური მოტივით აიხსნას პოეტის ლირიკის ხასიათი. საჭიროა, მისი აზრით, ამ შემთხვევაში სიღრმისეული კვლევა და თვით პოეტის, მისი პიროვნების, ტემპერამენტის ფართო ანალიზით აიხსნას ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიის პრობლემატიკა და მითუმეტეს მხატვრული მხარე.

ამავე პოზიციიდან ეკამათება არჩილ ჯორჯაძე გრიგოლ რობაქიძეს მის ლექციაში განვითარებული აზრის შესახებ ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდაზე. ბარათაშვილი გენიალური შემოქმედია და მისი სევდა და მწუხარება ვერ აიხსნება ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებით. ამგვარი მსჯელობის მიხედვით უნდა ვაღიაროთ, რომ მართლობის გრძნობა, სევდა და კაემანი შეიძლება დაეუფლოს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის მსგავს ქვეყნებში. თუმცა, რეალობა სულ სხვას გვიდასტურებს. მძლავრი და ლალი ინგლისის შვილსაც არანაკლებ შეიძლება აწუხებდეს სევდა და კაემანი.

არჩილ ჯორჯაძისათვის სავსებით მისაღებია, გასაზიარებელი დიდი ილიასეული ანალიზი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისა, განიხილავს რა ჩვენი პოეტის ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს მსიოფლიოს დიდ შემოქმედთა ბაირონის, გოეთეს, შექსპირის სანუხარის–საფიქრალის შუქზე.

თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ ის ხაზია ამოსავალი დიდი რომანტიკოსის შეფასებისას, რასაც ილია ჭავჭავაძე და მის კვალში ჩამდგარი არჩილ ჯორჯაძე ავითარებენ.

თავი II

ჟურნალი „ცისკარი“, დანიელ ჭონქაძე, ლავრენტი არდაზიანი

არჩილ ჯორჯაძის თვალთახედვით

არჩილ ჯორჯაძე თავის „მასალებს ქართული ინტელიგენციის ისტორიიდან“ იწყებს ჟურნალი „ცისკარის“ და მისი მწერლების დახასიათებით. ჩვენ არ ვისახავთ მიზნად საზოგადოდ არჩილ ჯორჯაძის პუბლიცისტიკის დანვრილებით ანალიზს. შევჩერდებით მხოლოდ ძირითად მომენტებზე ჟურნალ „ცისკარის“ არსებობის ისტორიიდან და დანიელ ჭონქაძისა და ლავრენტი არდაზიანის ღვაწლის მისეულ შეფასებაზე.

არჩილ ჯორჯაძეს აღნიშვნის ღირსად მიაჩნია ის გარემოება, რომ ჟურნალი ცისკარი მთავრობის დახმარებით დაარსდა. *„მიხეილ ვორონცოვის დანიშვნა კავკასიის მეფის ნაცვლად 1844 წელს ფრიად სასარგებლო აღმოჩნდა ქართული ახალი კულტურის აღორძინებისათვის. არჩილ ჯორჯაძის სამართლიანი შენიშვნით, მიხეილ ვორონცოვი ვერ შეეშინდა ჩვენში ვერც თეატრს, ვერც პერიოდულ პრესას, რომ თვითონ ქართველ საზოგადოებაში არ ყოფილიყო ამის მზაობა. საინტერესოა, რომ ცისკარის გამოცემამდე პეტერბურგში სდომებიათ ქართველებს ჟურნალის გამოცემა, რომლის სახელწოდება უნდა ყოფილიყო „არე“ – [ჯორჯაძე, 1989: 105].* საერთოდ მიხელი ვორონცოვის პოლიტიკის არჩილ ჯორჯაძისეული შეფასების თვალსაზრისით ისიც საგულისხმოა, რომ პუბლიცისტი საგანგებოდ გახაზავს : ვორონცოვის ხანა განსაკუთრებული ხანა იყო საქართველოში არც მანამდე, არც შემდეგ მის მსგავს მოვლენას ვერ ვხედავთ. ვორონცოვის პოლიტიკა იყო სწორედ ისეთი, რომლის მსგავსსაც ამაოდ ეძებდა რუსეთის მფარველობის ქვეშ ქართველთა პოლიტიკური აზროვნება. მართალია, არჩილ ჯორჯაძე კარგად ხედავს მიხეილ ვორონცოვის რუსიფიკატორულ პოლიტიკას, იმას, რომ მიხეილ ვორონცოვი რუსეთის მეფის ტახტის უერთგულესი მოხელეა, მაგრამ მისთვის ისიც ცხადია, რომ უხემ მთავარმართებელთა „ბლაგვი ნაჯახის“ პოლიტიკას ვორონცოვის დამაამებლური, დამამშვიდებელი მოჰყრობა სჯობია გარკვეული დროით მაინც.

არჩილ ჯორჯაძეს მოჰყავს ალექსანდრე ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორიიდან“ საინტერესო ცნობა, ჟურნალი 1851 წელს უნდა გამოცემულიყო, მაგრამ

გიორგი ერისთავმა საკმარისი რაოდენობის ხელმოწერლები ვერ შეაგროვა, მაშინ 100 ცალი ცისკარი თვითონ ვორონცოვმა გამოიწერა (ე.ი. დააფინანსა უურნალი) ხოლო 200 ეგზემპლარი წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებლის სახელზე გამოიწერა.

„ასე თუ ისე დიდ საქმეს ჩაეყარა საფუძველი“ , -ასკვნის პუბლიცისტი.

არჩილ ჯორჯაძის ეს შეფასება ერთგვარად ეხმაურება დიდ ილიასეულ ცისკრის შეფასებას: უურნალის შექმნამ ხელი შეუწყო „ჩვენთა აზრთა დენას შივნისადმე გარეთ გამოსულიყო საქვეყნოდ და მწყურვალისათვის აზრთა წყალი ესმია. მართალია, მაშინდელი "ცისკარი" მეტად ფეხმოკლე და ხელმოკლე იყო, მაგრამ ეპატიება, როგორც ახალს საქმეს, ჯერ უჩვეულო და უასაკოს ... იმისი კარგი ის იყო, რომ არსებობდა. ზოგჯერ მართო არსებობაც ღვანლია, ნამეტნავად იმ გაჭირვებაში როგორშიაც იყო ცისკარი ... მაინც კარგა ხანი თავი დაიჭირა და თითქმის აკვნობა გაუწია იმ ყმანვილ მწერლებს, რომელთაც მერე, 60-იან წლებში წინანდელ მწერლებთან ერთად ისეთი ძლიერი ტალღა ჰკრეს ჩვენს აზრთა დენასა“ [ჭავჭავაძე, 1991: 544, 545]

არჩილ ჯორჯაძის სიტყვებით, 1857 წლიდან ივანე კერესელიძის მიერ განახლებული უურნალი "ცისკარი" უფრო მყარ ნიადაგზე დაფუძნდა.

არჩილ ჯორჯაძე უყურადღებოდ არ ტოვებს „მოლაყბეს“ და მის მოღვაწეობას "ცისკარში". არჩილ ჯორჯაძეც "მოლაყბის" სახელს ამოფარებულად მიიჩნევს მიხეილ თუმანიშვილს-პოეტსა და პუბლიცისტს. "მოლაყბე" არჩილ ჯორჯაძეს თქმით, თავისი შინაური მიმოხილვის განყოფილებაში მოურიდებლად ჰკიცხავდა საზოგადოებას, მის ცალკეულ ნაკლოვანებებს. მან გასაგები ენით საზოგადოების ჭირ-ვარამზე დაიწყო ლაპრაკი. იმ დროისათვის ეს იყო ნამდვილი პუბლიცისტური შემოქმედება.

არჩილ ჯორჯაძე ეხება ალექსანდრე ორბელიანის პუბლიცისტურ „უწინდელი დროის ბატონყმობა საქართველოში“ იგი გახაზავს ამ წერილის სრულიად საპირისპირო პათოსს დანიელ ჭონქაძის მოთხრობა „სურამის ციხესთან“, რომელიც სწორედ ამ დროისათვის დაიბეჭდა უურნალ "ცისკარში" [ჯორჯაძე, 1989: 136]. უნდა ვითქვითოთ, რომ XX საუკუნის სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ არჩილ ჯორჯაძის პუბლიცისტურ წერილებზე დაყრდნობით თითქმის ყველა მკვლევარი ახსენებს ალექსანდრე ორბელიანსა და მის

„უწინდელი დროის ბატონყმობას“ „სურამის ციხეში“ აღწერილი ბატონყმური აუტანელი ყოფის საპირისპიროდ.

სწორედ ამ კონტექსტში არის განხილული მოკლედ არჩილ ჯორჯაძის "სურამის ციხე". საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ არჩილ ჯორჯაძე ინტერესდება ამ თემის მხოლოდ და მხოლოდ თემით-ბატონყმობა. ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი მის მიერ დანიელ ჭონქაძეზე როგორც მხატვარზე. არჩილ ჯორჯაძისათვის ამ შემთხვევაში ამოსავალია თემის აქტუალობა, რომ დანილ ჭონქაძე და მისი მოთხრობა ჩაითვალოს ძალზედ მნიშვნელოვან მოლენად.

არჩილ ჯორჯაძის თქმით *"მოთხრობის მარტივი ბუნებრივი კილო, ამასთანავე ისეთი გულწრფელი, ისეთი ძლიერი მონობის წინააღმდეგ, რომლის მსგავსი ქართულ ლიტერატურაში მანამდე არავის გაუგონია, განსამღვრავს მის დიდ მნიშვნელებას"* [ჯორჯაძე, 1989: 138]

მასალების ამ ნაწილში არჩილ ჯორჯაძე იმარჯვებს ვრცელ ამონაწერებს, სადაც ბატონყმობის შეფასებაა მოცემული.

50-იანი წლების მიწურულისა და 60-იანი წლების დასაწყისის საზოგადოების ფიზიონომიის გასათვალისწინებლად არჩილ ჯორჯაძე კიდევ ერთ საგულსხმო მოვლენას აღნიშნავს. ამ დროს 1861 წელს უურნალ "ცისკარში" დაიბეჭდა ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ მოთხრობა, არჩილ ჯორჯაძის აზრით, ბევრი თვალსაზრისითაა საყურადღებო. ლავრენტი არდაზიანმა მიუთითა ახალი სოციალური ფენის გამოსვლა ასპარეზზე. პუბლიცისტი მათ უწოდებს მოქალაქეებს (Мещане), საუბარია სავაჭრო და სავახშო ბურჟუაზიაზე. [ჯორჯაძე, 1989: 145] ამ დროისათვის თავად აზნაურობა ღარიბდებოდა და წელის ნაბიჯით იზრდება ახალი ელემენტი-ბურჟუაზია-წვრილი ვაჭარი და მევახშე. ეს ახალი ფენაო, შენიშნავს არჩილ ჯორჯაძე, -უმეტეს შემთხვევაში სომეხია, თუმცაო, შენიშნავს იგი, -ამ დროს ქართველ და სომეხ მოქალაქეთა შორის დიდი გარჩევა არ არისო. არჩილ ჯორჯაძე ფიქრობს რომ სოლომონ ისაკიჩი ქართველია [ჯორჯაძე, 1989: 145] იგი წერს: „არდაზიანის გმირი თუმცა ქართველიო, მაგრამ მისი ნამდვილი სახელი ტფილისელი მოქალაქეა“. ჩანს, არჩილ ჯორჯაძე ქართველად თვლის სოლომონ ისაკიჩს გვარის დაბოლოების გამო-შვილზე. საქმე ისაა,

რომ რუსულ ოვ-ის დაბოლოებაზეც და შემდეგაც ბევრი თბილისელი სომეხი ქართული დაბოლოებით აწარმოებდა თავის გვარს. სოლომონ ისაკიჩი სომეხია; ეს ძალიან კარგად ჩანს რომანიდან. როცა ალექსანდრე რაინდაძე მამის ადებულ ვალს, უსაშველოდ გაზრდილს უბრუნებს, გათავხედებული, გაქსუებული მევახშე ასე არიგებს ალექსანდრეს: „კნიაზო! ნუ კი გენყინება, მაგრამ ერთი სიტყვა მინდა მოგახსენოთ.

-მიბრძანე.თქვენი ჭირიმიე!

-ამას გუებნებით,რომ ქართველები დაუდევნებლები ხართ და არა ფიქრობთ ხვალისთვის (ხაზი ჩემია-მ.დ.) აი მაგალითებრ, კურთხეულს მამა თქვენს 30 თუმანი მაშინვე რომ გადაენყვიტა, ახლა იმისი შვილი ოთხას სამოცდათხუთმეტ თუმანსა, ცხრა მანეთსა და ხუთ შაურ ნახევარსა, არ გადაწყევტა"(არდაზიანი, 1964 :80).

პუბლიცისტი მნიშვნელოვნად თვლის იმას, რომ თხზულება რეალისტური ფორმითაა დანერგილი.

პუბლიცისტის თქმით, მართალია, “სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ თავის დროზე შეუმჩნეველი დარჩაო; გავიხსენოთ დიდი აკაკის სინანული. აკაკი „ჩემს თავგადასავალში“, ახასიათებს ლავრენტი არდაზიანს, წერს : „საკვირველია,რომ ამ ნიჭიერ კაცს, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ დამწერს, არც სიცოხლეში ჰქონდა დიდი პატივი და არც ახლა იხსენიებს ვინმე! ... მაშინ, როდესაც დანიელა ჭონქაძე, ავტორი ერთადერთი „სურამის ციხის“ თითქმის ბავშური მოთხრობის გაჭიმულია, როგორც დიდი ვინმეო!“ ... [წერეთელი,2015:96]

ლავრენტი არდაზიანთან კავშირში არჩილ ჯორჯაძე აქ ახსენბს ავეს. ცაგარელის კომედიებს. პუბლიცისტს მიაჩნია, ცაგარელის კომედიები ლავრენტი არდაზიანის ტრადიციების გაგრძელებადა.

ამრიგად 50-იანი წლებისა და ამ დროის მწერალთა ღვაწლის შეფასებისას არჩილ ჯორჯაძე საგანგებოდ მსჯელობს უურნალ "ცისკარის" დაარსების ისტორიაზე და მის მნიშვნელობაზე. განიხილავს "ცისკარში" მოღვაწე ავტორებს- „მოლავის“ სახელს ამოფარებულ მწერალს. დანიელ უონქაძეს და ლავრენტი არდაზიანს-ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების თვალსაზრისით აფასებს მათ შემოქმედებას.

თავი III

ილია ჭავჭავაძე არჩილ ჯორჯაძის დახასიათებით

ილია ჭავჭავაძის როგორც დიდი მწერლის, პუბლიცისტის, დიდი ქართველი მოაზროვნის სახელი არჩილ ჯორჯაძის საგანგებო ყურადღებას იმსახურებს. როგორც ცნობილია, არჩილ ჯორჯაძე თავდაპირველად ერთგვარად დაპირისპირებული აღმოჩნდა დიდ ილიასთან, განსაკუთრებით წმინდა სოციალურ-ეკონომიკური საკითხების განხილვისას, მაგრამ საბოლოოდ დიდმა პუბლიცისტმა სრულად გაიაზრა ილიას დიდი ფიგურა და დარჩა მისი უერთგულესი თაყვანისმეფე, მისი გზის გამგრძელებელი. სამაგისტრო ნაშრომში მიზნად ვისახავთ მხოლოდ იმ მომენტების გათვალისწინებას, რაც არჩილ ჯორჯაძისეულ ილია ჭავჭავაძის როგორც მწერლის ღვაწლის შეფასებას ეხება.

არჩილ ჯორჯაძე ავტორია ვრცელი ნაშრომისა „პუბლიცისტი -ილია ჭავჭავაძე“ (ჯორჯაძე., 1989: 48-102), რომელიც 1901 წელს დაიწერა. არჩილ ჯორჯაძე მის ნაშრომს არ თვლის დასრულებულად. აქ არც „საქართველოს მოამბის“ დაარსების ხანაა წარმოდგენილი და არც ბოლო მონაკვეთი ილიას მოღვაწეობისა, მაგრამ რახან ნაშრომში წარმოდგენილია ძალიან მნიშვნელოვანი ხანა ილიას ცხოვრებისა და ღვაწლისა, სეტორი მიიჩნევს, რომ ისიც დაეხმარება მკითხველს ერთგვარად უფრო სრული სურათის შესაქმნელად ქართული ინტელიგენციის ისტორიისა (ჯორჯაძე., 1989: 48)

არჩილ ჯორჯაძე განსახილველად ირჩევს ილიას იმ პუბლიცისტურ ნაწერებს, რომლებშიც მკაფიოდაა წარმოდგენილი ილიას ეროვნული პროგრამა. ასეთებია: “ზოგიერთი რამ“, “კატკოვის პასუხად“, “აი ისტორია“ და ა.შ. ეს ნაშრომები ჭავჭავაძისა ყველაზე თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ, თუ რითია შეიარაღებული ჩვენი მწერალი, როგორია მისი მეცნიერული მოსაზრება. “მწერლის ნამდვილი ხასიათის გასაგებად ძალიან გვშველის იმის სულიერი ცხოვრების გაცნობა, ხოლო საუკეთესო წყარო მისი სულიერი ვითარების გასაცნობად თვით მწერლის ნაწერები უნდა იყოს, რადგან სხვა გარეშე პირი ვერ გამოსახავს ნათლად და მარტივად კაცის საიდუმლო სულის მდგომარეობას.

ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებთაგან არჩილ ჯორჯაძეს „მგზავრის წერილები“ მიაჩნია ყველაზე თვალსაჩინო მასალად ილიას ეროვნულ იდეალებთან მისასვლელად, მისი „დაფარული ვინაობის გამოსარკვევად“. არჩილ ჯორჯაძეს ეს მოთხრობა ნახევრად პუბლიცისტურ ნაწარმოებად ესახება. თავის ნარკვევში არჩილ ჯორჯაძე მიზნად არ იხდის მხატვრული ნაწარმოების დახასიათებას, მაგრამ „მგზავრის წერილებზე“ საუბრისას, მისი თქმით ამას არღვევს ზოგიერთ მაღალმხატვრულ ადგილზე მითითებით. ერთი ასეთი ადგილია მყინვარისა და თერგის შეპირისპირებითი დახასიათება აქ არჩილ ჯორჯაძის თქმით თვალნათლივ იკვეთება „ავტორის საზოგადოებრივი ხასიათი, მისი მოქალაქეობრივი ენერჯია და ბრძოლის უნარი“ (ჯორჯაძე., 1989: 70)

ავტორს მოჰყავს ვრცელი ამონაწერი თერგისა და მყინვარის შეპირისპირებიდან და ასკვნის, რომ „ამ პატარა ხელოვნურ ნაწყვეტში მკაფიოდ გამოყურება ავტორის სულიერი ვითარება, მისი საზოგადოებრივი ტემპერამენტი, მისი ცხოვრებისადმი სიყვარული. აქ ჩვენ გვაქვს საქმე ევროპელ ქართველთან, რომელსაც უარუყვია, უკუუგდია აღმოსავლეთის უსაქმურება და უმოძრაობა“ (ჯორჯაძე., 1989: 71). ავტორი ამ მოთხრობაში“ თვითონ გვაძლევს თავისი სულიერი ცხოვრების გასაღებს. საზოგადო მოღვაწე გატაცებული საქმით, მოქმედებით თავისი ცხოვრების მიმდინარეობით არ უნდა გრძნობდეს სულის ობლობას. ცხოვრებისგან ჩამორჩენას, გამორიყვას. არის იმისთანა წუთნი მარტოობისა, გვიხსნის ამ აზრს ავტორი, როცა ბუნებას შენ თითქოს შენსას აგებინებ, და იგი თავისას შენ გაგებინებს. ამგვარი მჭიდრო კავშირია კაცსა და ცხოვრებას შორის და ამ კავშირზე გვესაუბრება ავტორი“ (ჯორჯაძე., 1989: 71).

„მგზავრის წერილები“ დაიწერა ილია ჭავჭავაძის საილიტერატურო და საზოგადო ასპარეზზე გამოსვლის დროს და თითქოს დრომ მოგვცა პასუხი ავტორის მიერ დაყენებულ კითხვებზე. ეს პასუხია მისი დიდი მოღვაწეობა, მისი ნაწარმოებები. ილია ცდილობს დაგვანახოს ჩვენი ნამდვილი მდგომარეობა ის, თუ საიდან წარმოსდგება ჩვენი საერთო უბედურება. აქ არჩილ ჯორჯაძეს მოჰყავს ვრცელი ამონაწერი მგზავრისა და მოხვევის საუბრისა.

მოხევის სიტყვებში, მის შეპირისპირებაში ცარიელ მშობლობასა და ლალ თავისუფლებას შორის არჩ. ჯორჯაძე თვალნათლივ ხედავს და ხსნის „ჩვენს პოლიტიკურ ფილოსოფიას“. პუბლიცისტის სიტყვებით, ილიას ნააზრევს, მგზავრის წერილებში გამოხატულ პათოსს ერთი სიტყვის მიმატებაც კი არ უნდა (ჯორჯაძე., 1989: 75).

არჩ. ჯორჯაძე პუბლიცისტური ნაშრომის ბოლოს ასკვნის, რომ ილიას ნააზრევი ეროვნულ საკითხში, რომელიც გამოთქმულია მის ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილებში, მის მხატვრულ ნაწერებში ჩვენთვის შეურყეველია.

ჩვენს მწერალს ამოქმედებდა და ახლაც ამოქმედებს „ქართული ეროვნების დაცვის, გამოფხიზლების და სხვა ერთა შორის გათანასწოების აზრი. ეროვნული აღაფრთოვანებდა ავტორს, ეროვნება სამართლიანობის კითხვად მიაჩნდა და ამ კითხვის ზნეობრივ მხარეში პოულობდა ჩვენი მწერალი მოქმედებისა და წერის საფუძველს. ამ საფუძველში, ამ პუნქტში ყველა უნდა გაერთიანდეს ილიას იდეის გარშემო .

„მასალები ქართული ინტელიგენციის ისტორიისთვის“ სამოციანი წლების დახასიათებას ქართულ სინამდვილეში არჩ. ჯორჯაძე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ილია ჭავჭავაძის უკვდავ „კაცია-ადამიანზე?!“ . მიზანი მოთხრობის დახასიათებისა არის „საქართველოს მოამბის“ და საკუთრივ ილიას „ფიზიონომიის“ როგორც არჩ. ჯორჯაძე წერს დახასიათება. არჩ. ჯორჯაძის აზრით, ილია რომ ძალიან დიდი ხელოვანი არ ყოფილიყო, იგი ალბათ ვერ აირიდებდა ხელოვნების უტილიტარულ თვალსაზრისით დანახვა-შეფასებას, იმდენად ძლიერი იყო ამ დროისთვის რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ზემოქმედების ძალა. რახან ილია დიდი შემოქმედი იყო მან შეძლო თავის შემოქმედებაში ესთეტიკური და მხატვრულობის კანონი დაეცვა და რეალიზმისთვისაც არ ეღალატა.

„კაცია-ადამიანი?!“ კრიტიკოსის აზრით, საუკეთესო ნიმუშია რეალიზმის ერთგულებისა და მაღალმხატვრულობისა, ამიტომაც არის „კაცია-ადამიანი?!“ შედეგურია ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობისა. არჩ. ჯორჯაძის აზრით, შეუდარებელია საზოგადოებაზე დიდი ხელოვანის ზემოქმედების ძალა, საზოგადოებრივი აზრის ევოლუციისათვის(ჯორჯაძე.,1989:190).

პუბლიცისტი უხვად მიმართავს ციტირებას „კაცია-ადამიანიდან?!“

დიდი პუბლიცისტი თავისი სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებების გადმოშლისას მიმართავს მხატვრული ლიტერატურიდან სათანადო მასალას. კერძოდ ამ თვალსაზრისით ბატონყმობის გადავარდნის დროინდელ განწყობილებებს, არჩ. ჯორჯაძის აზრით, კარგად გვიჩვენებს ილია ჭავჭავაძე თავის „გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენებში“ (ჯორჯაძე., 1989: 221) და გიორგი წერეთელი თავის „მგზავრის წიგნებში ანუ კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკაში“ (ჯორჯაძე., 1989: 217)

„მგზავრის წიგნებიდან“ მოხმობილ მაგალითებს პუბლიცისტი საუცხოო სურათებს უწოდებს იმ დროინდელი ვითარების გასაგებად.

ამ შემთხვევაში დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძეს და მის პუბლიცისტურ ნააზრევს არჩ. ჯორჯაძე ძირითადად მიმართავს ქართული ინტელიგენციის ისტორიის, საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიის საჩვენებლად, მხატვრული და პუბლიცისტური ნაწერები ილია ჭავჭავაძის ჯორჯაძის შეხედულების განსავითარებლად აქ მასალაა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ავტორი თავს ვერ აღწევს ილიას მხატვრული აზროვნების მაღალ ტალანტს, მისი მხატვრული შედეგების შეფასებას, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით ღირებულებას იძენს.

თავი IV

სამოციანი წლები, თაობათა ბრძოლა არჩილ ჯორჯაძის შეფასებით

„ქართულ ლიტერატურაში და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ჯერ კიდევ მძლავრადაა გავრცელებული ილია ჭავჭავაძის დროშივე ფეხმოკიდებული აზრი თაობათა , ანუ "მამათა"და "შვილთა" ბრძოლის შესახებ. ამ აზრს თავის დროზე კონცეპტუალური სახე მისცა ცნობილმა მოაზროვნემ არჩილ ჯორჯაძემ" [ევგენიძე, 1998: 214]. ამ შეხედულების მიხედვით, ჩვენს სინამდვილეში XIX ს.60-იან წლებში დაიწყო თაობათა შორის ბრძოლა.

არჩილ ჯორჯაძე თავის "მასალებში ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის" გადმოგვცემს შემდეგს: "50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში პეტერბურგში უკვე არსებობდა ქართველ სტუდენტთა წრე: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, გ.წერეთელი და სხვანი წასულნი იყვნენ რუსეთში უმაღლესი სწავლის მისაღებად... ეტყობოდა პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა წრე ყურადღებით და მხურვალე გულით ადევნებდა ყოველივეს, რაც იწერებოდა ერთადერთ ქართულ ჟურნალში. აშკარაა ბელინსკის, დობროლოუბოვისა და ჩერნიშევსკის წერილებზე აღზრდილ ყმაწვილკაცობას ვერ დააკმაყოფილებდა უბადრუკი "ცისკარი", რომელიც ვერ განთავისუფლებულიყო სქოლასტიკურ და მიკიბულ-მოკიბულ მსჯელობისაგან. და ჩვენ მოწმენი ვხდებით ფრიად საინტერესო საზოგადოებრივი მოვლენისა. ჩვენს წინ ნელ-ნელა იზლება სურათი ძველის და ახალის შეტაკებისა: "შვილების"და "მამების" ერთმანეთის გაუგებრობისა.

საყურადღებოა, რომ პირველად ეს შეუთანხმებლობა აღმოჩნდება წმინდა ლიტერატურულ ნიადაგზე, ერთმანეთს ენის უვარგისობას უწუნებენ. მაგრამ თანდათან გამოირკვევა ღრმა და გაუვალე უფსკრული ორ მსოფლმხედველობათა შორის. ძველ საქართველოს წინაშე ჩნდება ახალი ძალა, რომელსაც შეაქვს არა თუ ახალი ენა, ახალი აზრიც, ახალი გრძნობაც და ახალი იდეალები...

მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენში "ცისკრის" გარდა სხვა ორგანო არ არსებობდა და ახალგაზრდობაც "ცისკრისკენ" გაეშურა...ეს ორი მიმართულება 1861 და

1862 წელს ჯერ კიდევ განუყოფელი იყვნენ. ჩხუბსა და ვაივავლაში ცხოვრობდნენ ერთ ჯერქვეშ, ხოლო 1863 წელს "საქართველოს მოამბის" დაარსებიდან გაიყარნენ, განშორდნენ ერთმანეთს, უკვე დარაზმდნენ და შეიქმნა "თაობათა" ბრძოლა [ჯორჯაძე, 1989: 146-148].

არჩილ ჯორჯაძე დაწვრილებით ჩერდება "ცისკარში" ილიას სტატიაზე "ორიოდე სიტყვა თავად რევამ შალვას ძის ერისთავის კამლოვიდგან "შეშლილის" თარგმანზედა", განიხილავს მას შინაარსობრივად და იქვე დასძენს: *ილია ჭავჭავაძის სტატია "დღევანდელის თვალთ რომ შევხედოთ, არაფერს თვალსაჩინოს არ წარმოადგენს"* [ჯორჯაძე, 1989: 149]. ამ შემთხვევაში არ. ჯორჯაძე, როგორც ჩანს, ჯეროვნად ვერ ითვალისწინებს ამ სტატიის გრანდიოზულ მნიშვნელობას. ილიას ეს სტატია ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება ერთი თარგმნილი ნაწარმოების განხილვის საფუძველზე წამოაყენო ზოგადი, შენი ლიტერატურისათვის სასიცოცხლო საკითხები.

ამ წერილის გამოქვეყნებას იმ დროისათვის "კარგად გატენილი ყუმბარის გასკდომის" ეფექტი ჰქონდა, დიდი პუბლიცისტის აზრით [ჯორჯაძე, 1989: 150].

არჩილ ჯორჯაძე აგრძელებს თხრობას, თუ როგორ გამოეპასუხნენ ილიას წერილს ბარბარე ჯორჯაძე, გიორგი ბარათაშვილი, თვითონ მთარგმნელი რევამ ერისთავი, ხოლო მოგვიანებით სარდიონ ალექსი-მესხიშვილი, რასაც მოჰყვა ილიას საპასუხო წერილი "პასუხი".

არჩილ ჯორჯაძე ბევრს საუბრობს ჩახრუხადის ილიასეულ შეფასებაზე და ცდილობს ილიას უარყოფითი დამოკიდებულება ჩახრუხადისადმი იმით ახსნას, რომ "ძველის" დასამარცხებლად "ახლები" ძველისგან განთავისუფლებას ცდილობდნენ და ასეთ შემთხვევაში ადვილი არ არის შეცდომებისგან თავის დაღწევაო. არჩილ ჯორჯაძეს არც სამი "თერგდალეულის" პეტერბუგიდან მოწერილი წერილი ავიწყდება.

როგორც მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურაში არჩილ ჯორჯაძის თვალსაზრისის ამოსავალი დებულება *"ძირითადად ოვსიანიკო-კულიკოვის მიერ რუსული ინტელიგენციის მიმართ შემუშავებულ მოდელს ემყარება* [ოვსიანიკო-კულიკოვი, 1909: 34-94] [ევგენიძე, 1998: 341].

ამ ვითარებაზე არჩილ ჯორჯაძე სრულაიდ გარკვეულად მიუთითებს, როცა წერს: "მოგვხსენებათ ჩვენი ახალი თაობა რუსეთში იზრდებოდა. მან შეითვისა რუსული საზოგადოების მესამოცე წლების საუკეთესო იდეალები. "მამათა" და "შვილთა" შორის შეტაკება იყო რუსული საზოგადოების გავლენით იგი ჩვენშიც გადმოიჭრა და ფესვი მოიმაგრა" [ჯორჯაძე,1989:165]. არჩილ ჯორჯაძის კვალობაზე ქართველ მკვლევართა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღიარა ჩვენში თაობათა ბრძოლა.²

არჩილ ჯორჯაძის პოზიციამდე დაყრდნობა, ე.ი. "თაობათა" ბრძოლის "მამათა" და "შვილთა" ცნებების მომარჯვება ჩვენს სინამდვილეში და მათ შორის ბრძოლის დაშვება გულისხმობს, რომ ერთი მეორის დაპირისპირებულად ჩაითვალოს ორი ხანა-სამოციან წლებამდელი და სამოციანი წლების შემდგომი. თუ ამ პოზიციას თანმიმდევრულად განვაავითარებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ახალმა თაობამ "შვილებმა" უარი თქვეს ძველი თაობის - "მამების" ლიტერატურულ-კულტურულ ღირებულებებზე, რომ ეს ორი თაობა ერთმანეთის უარყოფელნი არიან, რომ სამოციანელები არ არიან მემკვიდრენი წინა თაობისა, რომ 60-იანი წლებისათვის ჩვენი ლიტერატურის განვითარების ბუნებრივი გზა ჩიხში შევიდა და ახალმა მწერლებმა სულ სხვა გზით გააგრძელეს ლიტერატურის განვითარება.

ამგვარი მიდგომა, ვითარცა ერთგვარი რეციდივი გამოვლინდა კიდევ ცისფერყანწელთა იდეური წინამძღოლის ტიცუან ტაბიძის მიერ ჟურნალ "ცისფერ ყანწში" გამოქვეყნებულ საპროგრამო წერილში "ცისფერი ყანწები".

გავრცელებულ შეხედულებაზე დაყრდნობით, ტ.ტაბიძის აზრით "60-იან წლებში გამართული თაობათა ბრძოლა ძველ ქართულ და ახალ რუსულ იდეოლოგიებს შორის მოასწავებდა იმას, რომ "ქართულ პოეზიის ყვავილს დაუნყეს შეცვლა რუსული ხორბლით"...მართალია, ამ ბრძოლაში იყო გამარჯვება სრული თერდგაღეულთა, მაგრამ ეს იყო დამარცხება მთელი შემდეგი ხელოვნებისა. ამ დღიდან მოიშალა ქართულ

²იხილეთ მაგალითად ს.ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში,ტ.1, მ.ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია,ტ.2,1953,გვ.191-215; ვ.კოტეტიშვილი,რჩეული ნაწერები ორ წიგნად,წიგნი პირველი, ქართული ლიტერატურის ისტორია(XIX),1965,გვ.298-305; შ.რადინი,ახალი ქართული ლიტერატურა,თბ.,1954,გვ.222-241, პ.გუგუშვილი ქართული ჟურნალისტიკა,ტ.1.,1941,თავი მამები და შვილები და ა.შ

პოეზიაში ძველი სული. ამ ცრუ რუსთაველებმა და ლიბერალებმა მწერლობა გაიხადეს სამიკიტრო ზალად და პოეზია გაზეთად[შევარდნაძე, 2015:112].

თუ რამდენად სამართლიანი იქნება 60-იან წლებში მოღვაწე ქართველ მწერალთა არჩ. ჯორჯაძისეული დაყოფა, თუ რამდენად გამოხატავს იგი ქართული ეროვნული სულის თავისებურებებს, რამდენად მიღებულია რუსული სქემებით (ამ სემთხვევაში ოვსიანიკო-კულიკოვის სქემით) ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების განხილვა -ამას მჭევრმეტყველურად უჩვენებს ჯერ კიდევ არჩილ ჯორჯაძის "მასალებამდე" ...1892 წელს დაწერილი ილია ჭავჭავაძის ბრწყინვალე "წერილები ქართულ ლიტერატურაზე", სადაც ილია ჭავჭავაძემ თვალსაჩინოდ უჩვენა უსაფუძვლობა 60-იან წლებში ქართულ საზოგადო მოღვაწეთა თაობებზე დაყოფისა.

ილია წერს: "არაერთხელ ატეხილა ჩვენს ფეხმოკლე ლიტერატურაში საუბარი ახალ და ძველ თაობაზე...დღემდე კი არავის გამოურკვევია ,რა არის ან ვინ არის ან ახალი, ან ძველი თაობა და არავინ იცის, ვისზე ლაპარაკობენ, როცა ან ერთს, ან მეორეს ახსენებენ. მართლაც და რა არის და ვინ არის ან ახალი ,ან ძველი თაობა? ამ სახელებ ქვეშ ვინ და რა უნდა ვიგულისხმობთ? აშკარაა ვინც ამ სახელებს რაიმე ფასს სდებს და თუთიყუშით გავიგონილს არ იმეორებს, ახალს თუ ძველს თაობას იმათში, ეძებს, რომელიც საზოგადო სარბილებზედ გამოსულან სამოქმედოდ. უეჭველია ეს სახელები უნდა ეკუთვნოდეს ამ ჯურის ხალხს, იმიტომ, რომ სხვა ყველა თავის ცალკე ბუდეში ჩაკეტილი ამისთანა სახელების წინაშე არაფერ შუაშია. თუ ასეა და ვგონებთ, უამისობა არც შეიძლება - მაშ სიახლეს თუ სიძველეს ერთის თუ მეორე თაობისას აქ უნდა მოვუწახოთ საბაბი და საფუძველი. ხოლო საკითხი ეს არის, რა საწყაო ვიხმაროთ, რომ ან ერთს მივუწყოთ ახლობა, ან მეორეს -ძველობა, ჰასაკი და წლოვანება? ეგ ხომ მტკნარი ბავშვობა იქნება, ან კიდევ ის, რომ ერთი გუშინ მოვიდა და მეორე დღეს მოდის? არც ხომ ეგ იქნება საკადრისი ჭკვათმყოფელის მკვლევარისათვის. მაშ სხვა რა ვიხერხობთ, რომ ერთის ჯურის საზოგადო სარბიელზე მოქმედი კაცი გავარჩიოთ მეორისაგან? აი სულ ამ საკითხს მივანყდებით ხოლმე ძალაუწებურად, მარტო მაშინ ვხედავთ რომ ხსენებული სიტყვები ჩვენში ცარიელი სახელებია უსაგნო, ნაჭუჭია უგულო, ფრაზაა უსაქმო... სახელი ახლის თუ ძველის თაობისა უნდა მიეთვისოს იმ წყობას საზოგადო აზრებისას,

მიმართულებისას, თუ საქმისას, რომელთაც აღიარებს, კმოდვრებს და ასულდგმულებს ერთი თაობა და მეორე ეწინააღმდეგება, ეურჩება და უარობს. რომ მართო ამით უნდა გაირჩეს ერთი თაობა მეორისაგან და ამან გვიჩვენოს, ვის რა ამისთანა საზოგადო აზრი, მიმართულება, ან საქმე უნერია თავის დროშაზე ან ვის საზოგადო აზრი, მიმართულება თუ საქმე ვისას ერჩის და ვისას ებრძვის" [ჭავჭავაძე,1991:521,522].

ილია ჭავჭავაძის მიხედვით, ასეთი კრიტერიუმის მომარჯვების შემთხვევაში ჩვენ ვგვრძნობთ, რომ "ძველი" და "ახალი" ფუყე სახელებია და მათ არც საგანი აქვთ, არც საბუთი და არც მიზეზები არსებობისა.

"ჩვენს ამ საუკუნის ცხოვრებაში ვერა ვპოულობთ ერთს იმისთანა ხანას რომელიც წარმოგვიდგენდეს აზრთა და მიმართულებათა ერთმანეთთან დაჯახებას ბრძოლასა და ჭიდილსა.

პირიქით, მთელს ამ უკანასკნელ საუკუნეს რომ თვალი გადავაავლოთ, დავინახავთ, რომ ჩვენს ტატიოთ მოარულ ცხოვრებაში, როცა კი აზრს ფეხი აუდგამს და უარსებია, წინ სამტროდ არა სხვა აზრი და მიმართულება არ დახვედრია და მშვიდობით უვლია თავის განვითარების გზაზე, გაუფართოვებია თავისი შტონი, გაშლილა, მერე შეფოთლილა, გამოულია თავისი ნაყოფი, მერე თესლიც დაუყრია შემდეგისთვის და ასე მოდენილა ჩვენამდე. მართლაც მთელი ეს მეცხრამეტე საუკუნე ისე დაგვცლია, რომ ამ საკმაოდ დიდ მანძილზე არც ერთი ხანა ჩვენი ცხოვრებისა თითქმის არ ყოფილა იმისთანა, რომ ორი სახსენებლად ღირსი აზრი, ორი მიმართულება, ორი საქმე ერთიმეორის მოპირისპირე ერთმანეთს დასჯახებოდეს ცხოვრების მოედანზე ადგილის დასაჭერად...

ჩვენ რა თქმა უნდა აქ სახეში გვაქვს სხვადასხვაობა მართო იმისთანა აზრებისა და მიმართულებისა, რომელნიც სახსენებლად ღირსნი არიან, თორემ ჩხირკედელაობის კო-არაობა ბევრი იყო" [ჭავჭავაძე,1991:523-525].

ასეთია დიდი ილიას მსჯავრი იმ შეხედულების შესახებ, რაც, როგორც ითქვა, ჯერ კიდევ ილიას სიცოცხლეში იჩენდა თავს და ერთგვარი თვალსაზრისის სახით გაფორმდა არჩ.ჯორჯაძის ნააზრევში, ხოლო მერე და მერე კიდევ უფრო მასობრივი გახდა და სასკოლო მერხებიდანვე მყარად აედევნება ქართველ კაცს და რაც, როგორც დავინახეთ

ჩვენი ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზრის განვითარების საკითხს, 60-იან წლებში დიდად ამრუდებს.

მოგვიანებით XX საუკუნის 50-იან წლებში ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისზე დაყრდნობით პროფესორმა გრიგოლ კიკნაძემ საგანგებოდ შეისწავლა ჟურნალების "ცისკრისა" და "საქართველოს მოამბის" მასალა, ამ ჟურნალებში საპოლემიკო წერილები სალიტერატურო ენისა და სოციალურ-პოლიტიკურ საკითხების გარშემო და დამაჯერებლად უჩვენა, რომ "არც ერთი ისეთი არსებითი საკითხი არ ყოფილა რომლის მიმართ ადრინდელ თაობას პრინციპულად დაპირისპირებოდა ახალი თაობა. აქ ჩვენ ვხედავთ დავას, მწვავე განხეთქილებამდე მისულ კამათს, მაგარამ ყველაფერი ეს პრინციპულ ნიადაგზე არ იდგა. ახალგაზრდობის გამოსვლა იყო გამოხატული და არაიშვიათად ზედმეტად მკაცრი გამოსვლა არსებითად იმავე პოზიციიდან, რომელზედაც დამხვდური ლიტერატორები შეგნებულად თუ შეუგნებლად იდგნენ. ახალგაზრდობამ გააცნობიერა ეს პოზიცია, მკაფიო გახადა იგი .გამოკვეთა და ამიტომ გადაიქცა დასად. ეს დასი იყო მონიწივე, შეგნებული და თავისი მიზნის ნათლად წარმომდგენი პირებისა ჩვენს მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში" [კიკნაძე, 1957:178-179].

ამ მკვლევარის საბოლოო დასკვნით, როდესაც ვითვალისწინებთ ქართულ სინამდვილეში ამ ერთობ საინტერესო ხანას 60-იან წლებს, ვხედავთ, რომ იგი წარმოგვიდგენს ერთ ძალიან მნიშვნელოვან მონაკვეთს ქართული ლიტერატურის, კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებისას.

60-იანი წლები არ აღნიშნულა ზურგის შექცევით ადრინდელ ლიტერატურასთან და მასთან ბრძოლის გამოცხადებით. "ასეთი გარემოს შემთხვევაში ხდება ნათელი, თუ რატომაა, რომ ჩვენი იმდროინდელი ლიტერატურა, მიუხედავად შინაგანი განსხვავებისა, მაინც ერთს მთლიანობას წარმოადგენს.

ასეთი დამოკიდებულება მესამოცე წლების ვითარებისადმი გასაგებად აქცევს იმ ფაქტს, რომ ქართული ლიტერატურა ისეთი მთლიანობაა, რომლის წინა საფეხური უგელებელყოფილი კი არ არის, არამედ სწორედ ეს წინა საფეხური ამდიდრებს, ამკობს და ანაყოფიერებს მომდევნო ხანის ჩვენს მწერლობას" [კიკნაძე,1957]

თავი V

ქართველი მწერლები არჩილ ჯორჯაძემე არსებულ

მოგონებებში

ქართული ლირტიკატურის, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს არჩილ ჯორჯაძეს.

არჩილ ჯორჯაძემე და მისი მნიშვნელობის შესახებ არაერთი მოგონება არსებობს, რომლებსაც იმდროინდელი ქართული საზოგადოების გამოჩენილი მოღვაწეები და უბრალო ადამიანები იხსენებენ. მათი მოგონებების გაცნობა მკითხველს უყალიბებს მკაფიო და ნათელ წამოდგენას არჩილის პიროვნების შესახებ. თითოეული მოგონება მოგიტოვრობს მთქმელის დამოკიდებულებას, პატივისცემას და უდიდეს სიყვარულს.

არჩილს იგონებენ და ემშვიდობებიან: კიტა აბაშიძე, იოსებ გედევანიშვილი, დავით მესხი, სამსონ ფირცხალავა, ნინო ყიფიანი, ილია ნაკაშიძე, ივანე გომართელი, ლუარსაბ ბოცვაძე, მიხაკო წერეთელი.....

იმის მიუხედავად, რომ არსებულ მოგონებებში არც თუ ისე დიდი მასალაა ჩვენ თემასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ნინო ნაკაშიძის, მიხეილ გედევანიშვილის, ნინო ყიფიანის მოგონებები. სადაც აშკარა დამოკიდებულება და შეფასებაა მოცემული დიდი საზოგადო მოღვაწეებისა, როგორებიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი ვაჟა-ფშაველა.

როგორც ვიცით არჩილი მომაკვდინებელი დაავადებით იყო დაავადებული, თუმცა ამის მიუხედავად აქტიურად მონაწილეობდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემის კომისიის მუშაობაში. არჩილი გრძნობდა, რამდენად საზიანო იყო მისი დარღვეული ჯანმრთელობისთვის ასეთ პირობებში მუშაობა, მაგრამ უნდოდა მოესწრო თავისი სათქმელი და შეეცაო ქართველი ინტელიგენციის ისტორიის ფურცლები. მისი ოცნება იყო შეექმნა ასეთივე ფუნდამენტური მონოგრაფია ილია ჭავჭავაძემე, მაგრამ აღარ დასცალდა. იგი ავადმყოფობსი მიუხედავად აქტიურად მონაწილეობდა ცნობილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ გედევანიშვილის თაოსნობით შედგენილ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემის

კომისიის მუშაობაში. კრიტიკოსის აზრით „ქართველ საზოგადოებას საშუალება ექნებოდა გასცნობოდა დიდი ილიას მემკვიდრეობას, რომელიც შუქს მოჰფენდა მაცხრამეტე საუკუნის ქართველი საზოგადოების ვითარებას ილია ჭავჭავაძე სინთეზია წარსული ეპოქისა . მისი ნაწერების შესწავლა , შესწავლაა დიდი ეპოქისა...მე-19 საუკუნე იყო ის ხანა, როდესაც ქართველთათვის მეორედ შობა მოხდა და საქართველომ სცნო და იპოვნა თავისი დაკარგული სახე. ილია ჭავჭავაძე ამ შობიარების ბებიაც იყო, ამ დაკარგული სახის მაძიებელ-აღმდგენელიც“.

დიმიტრი ყიფიანი,საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, რომლის სიცოცხლეც და სიკვდილიც სამშობლოს, მისთვის თავგანწირვას ემსახურება. მან თავისი მოღვაწეობით ღრმა კვალი დაამჩნია ჩვენს ისტორიას, დიმიტრი ყიფიანის ლიტერატურული მოღვაწეობა თარგმნით იწყება . 1841 წელს მან თარგმნა „რომეო და ჯულიეტა“ (გამოქვეყნდა „ცისკარში“ 1896) . 1851 წელს დაიბეჭდა მის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი გ. ერისთავის „გაყრა,“ 1857 წლიდან თანამშრომლობდა “ცისკარში”. აქვე დაიბეჭდა ოქტავ ფელიეს,მოლიერის, შექსპირის, ბომარშესა და სხვების თხზულებათა თარგმანები. 1882 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოაქვეყნა “ახალი ქართული გრამატიკა”. ყიფიანს ეკუთვნის ლექსი – პასუხი ვახტანგ ორბელიანისადმი მიძღვნილ ლექსზე – “ძველი მეგობრობის პასუხი” (გაზეთი “დროება”, 1883, ფსევდონიმით “ბაქარ ქართლელი”). აგრეთვე – მემუარები რუსულ ენაზე (1884-1885წწ.).

დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობის გაცნობა არჩილისათვის ორგვარად იყო საინტერესო:ერთი-თავისთავად აინტერესებდა მას ისეთი რთული და შესამჩნევი პიროვნების ბუნება და დახასიათება ,როგორც წამებული მოღვაწე იყო., მეორეც-ამ არქივის შესწავლით არჩილს საშუალება ეძლეოდა ქართველ ინტელიგენციის ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი თავი შეემუშავებინა და განზრახული შრომა -ქართველ ინტელიგენციის ისტორია -წინ წაენია.

დიმიტრი ყიფიანის რძალი ნინო ყიფიანი გვაცნობს ამ მონოგრაფიის დაწერის ისტორიას.“შემოდგომა იყო ,სოფლიდან ორიოდე დღის ჩამოსული ვიყავი ,რომ მითხრეს,არჩილი აგარაკიდან დაბრუნდა , მომჭობინებულა, მაგრამ მაინც ვერ არის კარგად, სიცხეს აძლევსო.

მაშინვე წავედი სანახავად. სასახლის ქუჩაზე იდგა, სასტუმრო „პალე როიალის“ სულ მალე სართულში. შევეგზავნე მოსასმსახურე საკითხავად, შეიძლებოდა თუ არა მისი ნახვა. ბიჭი მაშინვე გამობრუნდა და მოხოვა შევსულიყავი.

არჩილი ჩაცმული იყო. ლოგინზე წამოწოლილი. მოინდომა წამოდგომა, მაგრამ ხელი მივატანე და მუდარით ვთხოვე არ შენუხებულიყო. დამიჯერა, ბოდიში მოიხადა და დამიწყო მუსაიფი.

თვალები მეტკინა, დიდი ხნის შემდეგ ისეთი გამოცვლილი რომ ვნახე, ძალიან გამხდარიყო, მხოლოდ ღრმა შავი თვალები უფრო მომეტებული ცეცხლი ენთებოდა.

ჩემს შეკითხვაზე, თუ როგორა გრძობდა თავს, ღიმილით მიპასუხა: - ვერა ვარ კარგად, სიცხეს მაძლევს, მაგრამ არა უშავს რა, ერთიც დავსწერო, რისი დანერაც გულში მაქვს ამჟამად და მერე რაც იქნება იყოს.

შემატყო, რომ მინდოდა გავება, რის დანერას აპირებდა ისეთი გულით და თვითონვე დაუმატა:

- ილიას ბიოგრაფია მინდა დავსწერო. ამის თქმაზედ მეორე პირის ბიოგრაფია გამახსენდა და უნებურად ცოტა შურით ვუთხარი:

- ნეტავი ილიას, რომ მისი ბიოგრაფია დაიწერება და მერე ისიც თქვენგანა!

- ჰო, მართლა, - მაშინვე მიხვდა არჩილი ვის ბიოგრაფიაზედაც ვიტყოდი და მაშინვე მომატანა: - ვკითხულობდი გაზეთებში დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიის შესახებ. მგონია, დანერას აპირებენ.

გადაჭრით ვუთხარი, რომ არავინ სჩანდა მისი ბიოგრაფიის დამწერი და დავეუმატე: - აი, ბატონო არჩილ, თქვენ რომ როდისმე მოგენდომებინათ...

- მე? - შემეკითხა გაფაცვიცებითა და თან ლოგინიდან წამოიწია. - დიდის, დიდის სიამოვნებით ეხლაც დავსწერდი დიმიტრის ბიოგრაფიას, მაგრამ უბედურება ეს არის, რომ მის შესახებ მასალები ბევრს ალაგას იქნება გაფანტული და მე კი ამით ძებნა არ შემეძლიან, ღონე არ შემწევს.

ამის თქმაზე გაფაცვიცების ჯერი ახლა ჩემზე მიდგა და ვუპასუხე:

-თქვენ ოღონდ დაწერა შესძელით, მოინდომეთ და მაგისტვის კი მე მიმსახურეთ. თვით დიმიტრის სახლშიაც ბევრი არის მასალა, მისი ხელნაწერები .ყველას აქ მოგართმევთ. ასეთი წინადადება არჩილს ძალიან გაუხარდა და დაბეჭდვით მითხრა:

-მამ კარგი.ილიას ბიოგრაფიას გადავსდებ.იმის მასალა ბევრი მაქვს და მოვკიდებ ეხლა ხელს დიმიტრის ბიოგრაფიას. მხოლოდ ამას გთხოვ,რაც შეიძლება ,მალე მალე მომანოდეთ სახლიდან მისი ხელნაწერები.

აქ არჩილი მთლიანად აენთო ,აშკარად ეტყობოდა ლაპარაკში ,რომ დიმიტრი ყიფიანის პიროვნება ფრიად საინტერესო იყო მისთვის.

მივეცი პირობა, რომ ერთ კვირაში ჩამომეტანა სოფლიდა ქალაქები და გამოვეთხოვე.

როდესაც ამ მასალების გადაცემის ერთი კვირის შემდეგ მივედი, მისი პატარა ოთახი მოდებულიყო ქალაქებით და ისედაც შეხუთულ ჰაერს ძველი ქალაქების შმორის სუნი ზედ დართოდა. ეს არ მესიამოვნა არჩილის გულისათვის და ის კი ამას არც კი ამჩნევდა. გაფაციცებით შლიდა მათ და კითხულობდა.

მასალების ერთი თვის კითხვის შემდეგ,რა დროსაც ბარათით შემიკვეთავდა ხოლმე რომელსამე დაწესებულებაში აღნიშნული მასალის მოძებნას, უკვე ბიოგრაფიის წერას შეუდგა და ერთი თვის განმავლობაში კიდევ დაასრულა.

საოცრება იყო სწორედ ,როგორ შესძლო სიცხით გავარვარებულმა ადამიანმა ამოდენა მასალის გადაკითხვა და რომ მთლად გადაიკითხა-გადაათვალიერა,ეს აშკარა იყო დამთავრებული ბიოგრაფიის კითხვის დროს.

ან კი რა გასაოცებელია, როდესაც ამისთვის თავს არ ზოგავდა. -იცო, -მეტყოდა ხოლმე: -ისე გამიტაცა ამ ბიოგრაფიამ, რომ ღამე წამოვიჭრები ხოლმე და გათენებამდინა ვსწერ.

ვუსმენდი ამას და გული მიკვნესოდა. ვიცოდი, რომ გულაღმა მწოლარე სწერდა. ცხადი იყო, რომ ძვირად დაუჯდებოდა მას ეს უჯიათი შრომა და ხანდახან კიდევ ვნანობდი, რომ ხელი მოჰკიდა (ნინო ყიფიანი 1991, 244, 245, 246)“.

ამ მოგონებიდან ნათელი ხდება არჩილის შრომისმოყვარეობა და ზრუნვა ქართული ლიტერატურის ისტორიაზე,მას მნიშვნელოვნად მიაჩნდა, რომ ჩვენს ისტორიას სწორი და

ნათელი წარმოდგენა ჰქონოდა დიმიტრი ყიფიანზე, ილიაზე და მათი ბიოგრაფია მოეწოდებნა ჩვენთვის მიკერძოების გარეშე და რაც მთავარია სრულყოფილი სახით. დიმიტრი ყიფიანის შემთხვევაში ეს მოახერხა ,ხოლო ილიას ბიოგრაფიის დაწერა „ბრჭყალებრჭყვიალა“ დაავადებამ აღარ დააცალა.

არჩილ ჯორჯაძეს მეფის ხელისუფლება სასტიკადა დევნიდა. ეს გამონვეული იყო 1907 წელს საფრანგეთში გამოცემული გაზეთის „საქართველოს“ გამო, რომელიც ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოდიოდა და ,რომელიც ამხელდა რუსულ პოლიტიკასა და მათ დამოკიდებულებას დაპყრობილი ხალხისადმი. არჩილის დაბრუნება საქართველოში საიდუმლოდ მოხდა. გაზეთ „საქართველოს“ დახურვის შემდეგ იგი გემით შავი ზღვით გამოემგზავრა ბათუმში მოსკოველი ებრაელის პასპორტით ,რომელიც კავკასიის სილამაზით მოხიბლულ ტურისტს ეკუთვნოდა.

მწერალი ნინო ნაკაშიძე თავის მოგონებებში წერს, რომ სამშობლოში დაბრუნებული არჩილ ჯორჯაძე პირველ ხანებში დიდუბეში მის ბინაში ცხოვრობდა და იმალებოდა.

„1905 წ. საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა ავადმყოფი არჩილ ჯორჯაძე. არჩილი ემალებოდა მეფის ადმინისტრაციას და ამხანაღებმა გადანყვიტეს ჩვენთან მოეყვანათ იგი. ჩვენ მაშინ დიდუბეში ,საგურამოს ქუჩაზე ვცხოვრობდით. ერთი ოთახი მივუჩინთ ავადმყოფს და არვის არ ვუშვებდით მასთან ,გაედა ძალიან ახლო ამხანაგებისა და მეგობრებისა.

და, აი, ერთ დღეს, -ეს იყო გაზაფხულზე, -ჩვენთან მოვიდა ვაჟა-ფშაველა. თვალი აღარ ჰქონდა შეხვეული, მაგრამ ეცრემლებოდა კი, რუხი ფერის ჩოხა ეცვა და მაღალწელიანი წაღები.

მე ძალიან გამიკვირვა და გამახარა მისმა მოსვლამ. მისალმების შემდეგ მკითხა.

-ილიკო არა არის შინ?

-არ არის, -ვუპასუხე მე.

-მასთან ერთი ძალიან საჭირო საქმე მქონდა, სწორედ ამიტომ შეგანუხეთ.

-რა საქმე იყო, ბატონო ვაჟა, იქნებ, მე შევძლო მაგივრობის განევა? ვაჟამ გაიღიმა.

-ეს მართალია,-თქვა მან,-რომ ხშირად ღია ცეცხლი წევდნენ ხოლმე საჭიროების დროს .მაგალითად,ომიანობის დროს,ვაჟუკაცების მაგიერობას,მაგრამ ცოტა ხანს დავეუცდი ილიკოს და თუ არ მოვა...

ეს ღიაცის შედარება მეხამუშა და მენყინა კიდევ, მაგრამ ისე სერიოზულად ტყვა, რომ მაშინვე მივხვდი: ჩემი შეურაცხყოფა არ უნდოდა.დავჩუმდი და თვითონაც ჩემად იჭდა კარგა ხანს.

-ბოლოს მიტხრა ღიმილით:

-ილიკო არ ჩანს და, რა გაეწყობა, უნდა გასწიოთ მისი მაგიერობა.

-ბრძანეთ.

-არჩილის ნახვა მინდა,-თქვა მოკლედ.

მე გავშრი მოულოდნელობისგან, როგორ? საიდან გაიგო?

-არჩილს ? წარმოვთქვი მე და ,ალბათ,,შიში გამომეხატა სახეზე.

-დიახ, არჩილის, ნუ გეშინიათ, გიორგიმ მითხრა მისი ჩამოსვლის ამბავი, ისიც მითხრა, ილიკოს შეუძლია გაჩვენოსო, მაგრამ თუ არ გინდათ, ნუ მეტყვიოთ.

-ცოტა დაიცადეთ,-ვუთხარი მე და არჩილის ოთახში შევედი.

არჩილს ახველებდა .ლამაზი ,სანთელივით ჩამომდნარი სახე შენითლებოდა, გული მწარედ შემეკუმშა მის დანახვაზე.

-არჩილ, ვაჟა-ფშაველა მოვიდა შენს სანახავადგაუგია შენი ჩამოსვლა...გიორგის უთქვამს....

-ვაჟა-ფშაველა!?-შესძახა მან და მისმა ჩაცვინულმა ,შავმა თვალებმა სიხარულით გაიელვეს ხშირ ,გრძელ. წამწამებში: წამოიწია კიდევ ლოგინიდან-მობრძანდეს,-თქვა მან სიხარულით, მაგრამ ხველამ უმატა, დავაცურდით, რძე მივანოდეთ, ცოტათი დანყნარდა.

-აბა მოვიყვან.

-დიალ, დიალ, მოიყვანე, მაგრამ, ელენე,- მიმართა თავის ბიძაშვილს, რომელიც უვლიდა მას, ხელო მომკეცი! -არჩილი ლოგინში უხელოდ იწვა. ელენემ მიანოდა „ლაიკის” ხელთათმანიანი ხელის პროტეზი, მან გაიკეთა და დაიდვა საბანზე.

შევიყვანე ვაჟა.

არ ვიცი, მანამდის იცხნობდნენ ისინი ერთმანეთს თუ არა, მაგრამ ისე შეხვდნენ, როგორც ძალიან მოსიყვარულე უფროს-უმცროსი ძმები. არჩილი წამოინია „ვაჟა დაიხარა, ერთმანეთს გადაეხვივნენ და გადაკოცნეს. ოდესაც ვაჟა წელში გაიმართა, ორივე ცრემლები ადგა თვალებზე.

პირველად ვაჟა გამოერკვა.

-დაბრუნდი არჩილ სამშობლოში?

-აი, ხედავ როგორ დავბრუნდი.... მაგარმ, ვაჟა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამახარეთ თქვენი მოსვლით, დიდი ყურადღებით ვკითხულობდი უცხო ქვეყანაში თქვენს „ბახტრიონს“, „სტუმარ-მასპინძელს“, „სისხლის აღებას“, „ალუდა ქეთელაურს“, ...შედეგებია, შედეგები ...საზღვარგარეთ თქვენი ბადალი მწერალი არ ჰყავთ. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს ძალიან დაეცა ფრანგული მწერლობა.

არჩილის ხა თანდათან ყრუვდებოდა და სუსტდებოდა, ელენემ რაღაც წვეთები დააღვეინა და ოდნავ დაწყნარდა ვაჟა მას კმაყოფილებით და თან მწუხარედ უსმენდა.

-რა ვიცი აბა, კი არაფერი გამოდის ჩემი წერისგან და ...ვნ აფასებს...თქვა მან.

-აბა ,რა ამბობთ ვაჟა!თქვენ თუ არ გაფასებენ, აბა ვის აფასებს ქართველი ხალხი. თქვენი უფრო მეტი დაფასება კი მომავალს ეკუთვნის... მაგრამ მიაბნეთ ახლა რას წერთ... როგორ ცხოვრობთ..... (ქართველი მწერლები ვაჟა -ფშაველას შესახებ 2003 წ., 501, 502, 503).

თითქოს არჩილის სიტყვები წინასწარმეტყველება იყოს, თუმცა ეს ხომ არც არის გასაკვირი ისეთი დიდი მწერალი, როგორც ვაჟა-ფშაველაა ნამდვილად განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქართულ მწერლობაში, ხოლო რამდენად დაფასებულია ეს სხვა საქმეა.

დასკვნა

გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის, ფილოსოფოსის, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიკოსის არჩილ ჯორჯაძის ღვაწლი დიდია. ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მან ნაყოფიერად იღვანა, ღრმა კვალი გაავლო ქართულ საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის კვლევის საქმეში. მნიშვნელოვანია მისი წვლილი ქართული ლიტერატურის კრიტიკის სფეროში. საზოგადოებრივი აზროვნების გაშუქების გზაზე იგი ფართოდ მიმართავდა ლიტერატურულ მასალასაც, გარდა ამისა იგი იკვლევდა საკუთრივ კრიტიკის სფეროში.

საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა პუბლიცისტმა ქართველ რომანტიკოსებზე საერთოდ და კერძოდ ალექსანდრე ჭავჭავაძესა და ნიკოლოზ ბარათაშვილზე. ამ ორი პოეტის შესახებ არჩილ ჯორჯაძის შეხედულებები ძირითადად გამოიხატა პოლემიკის სიბრტყეზე. ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიას იგი აფასებს მაშინ ახალგაზრდა ალექსანდრე

ცაგარელის მიუხეხილად გამოგზავნილი წერილის "ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში" განხილვის შემდეგ, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ არჩილ ჯორჯაძის აზრები გამოითქვა გრიგოლ რობაქიძის ლექციის შეფასებისას.

არჩილ ჯორჯაძე ეთანხმება ალექსანდრე ცაგარელს ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიის ხასიათის შეფასებისას. მისი აზრითაც, ალ.ჭავჭავაძის პოეზია ქეიფის, მოლხენის და სატრფიალო თემებს ეხება, ეს მისი აზრითაც სიმღერაა გლოვისა, ქელეხის უამს. არჩ. ჯორჯაძისათვის არაა დამაკმაყოფილებელი ის გარემოება, რომ ალ. ცაგარელი ცალმხრივად აკეთებს ამ დასკვნას, არ გვიჩვენებს გენეზისს პოეტის ამგვარად მოქცევისას, რისი მიზეზია, რომ ალ. ჭავჭავაძე იმ დროს მღერის, როცა მდგომარეობას გლოვა უხდება.

ნიკოლოზ ბარათაშვილი არჩ. ჯორჯაძის თვალთახედვით გამორჩეული პოეტია, გენიალური შემოქმედია. ეს მისი აზრით, გრიგოლ რობაქიძესაც გათვალისწინებული აქვს. მაგარმ არჩ. ჯორჯაძისთვის სრულიად მიუღებელია ნ.ბარათაშვილის სევდა-მნუხარების გენეზისისათვის ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ გარემოსთან დაკავშირება.

ბუნებრივია, გარემოს აქვს მნიშვნელობა, მაგრამ იგი პოეტის გუნაბა-განწყობილების ამხსნელად ვერ გამოდგება. ადამიანის სევდა-ვაების, სულიერი მდგომარეობის ახსნა რომ ქვეყნის უბედობით, მძიმე პოლიტიკური ვითარებით იყოს განპირობებული, მაშინ ასეთი პოეტები მხოლოდ გაუბედურებულ ქვეყანაში უნდა გვეძებნა, სინამდვილეში კი პოეტის სევდა-კაემანს, მაგ.:შელის მაგალითზე ჩვენ ვხედავთ ისეთ მძლავრ დიდ ქვეყანაში, როგორც შელის დროინდელი ინგლისია, აქ პირველ ყოვლისა თვით ხელოვანის პიროვნებაში, მისი ბუნების ფორმებშია საძებნელი მიზეზები და არა გარემოში. მით უფრო მიუღებელია არჩ.ჯორჯაძისათვის ამგავრი მიდგომა ისეთი მოაზროვნისგან, როგორც გრიგოლ რობაქიძეა. მართალი შეხედულების იყო გრ.რობაქიძე ნ.ბარათაშვილის სიყვარულის, ბუნების გრძნობის დახასიათებისას, მაგრამ ეს საკითხის არსს ვერ ცვლიდა, მისი აზრით.

არჩილ ჯორჯაძის ეს მოსაზრება თავის აქტუალობას არც სადღეისოდ კარგავს, როცა ძალიან ხშირად ხდება შემოქმედის თხზულებათა ანალიზი გარემო პირობების ანალიზის საფუძველზე.

არჩილ ჯორჯაძე თავის ცნობილ ნაშრომში "მასალები ქართული ინტელიგენციის ისტორიიდან" ფართოდ ახასიათებს 50-იან წლების ლიტერატურულ-კულტურულ მოვლენებს გვაცნობს ქართული თეატრისა და ქართულ ჟურნალ "ცისკრის" დაარსების ისტორიას. გვაცნობს ჟურნალ "ცისკრის" ლიტერატურულ მასალის შინაარსს. პუბლიცისტი "ცისკრის" დამსახურებად თვლის, რომ მან გააცნო ქართულ საზოგადოებას ალ.ჭავჭავაძის, გრ.ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ნიმუშები. ჟურნალის განსაკუთრებულ დამსახურებად მიაჩნია არჩილ ჯორჯაძეს, რომ მან გამოაქვეყნა დანიელ ჭონქაძის "სურამის ციხე". პუბლიცისტი ამ მოთხრობას ახასიათებს წამოჭრილ პრობლემის მიხედვით და თვლის რომ განუზომელია მისი როლი ბატონყმობის მხილების საქმეში.

ასევე დიდი მნიშვნელობის მოვლენად მიაჩნია არჩ.ჯორჯაძეს ლავრენტი არღაზიანის "სოლომონ ისაკიჩ მეტლანუაშვილის" დასტამბვა. არღაზიანის დამსახურებააო, რომ მან ყურადღება გაამახვილა წვრილ ბურჟუაზიაზე, ვაჭრებსა და მევახშეებზე (мещане). პუბლიცისტი ასევე იყენებს ციტატებს ამ ნაწარმოებიდან. არჩილ

ჯორჯაძე იმასაც აღნიშნავს, რომ ლავრენტი არღამიანმა თავის დროზე ვერ ჰპოვა სათანადო აღიარება.

არჩილ ჯორჯაძე საგანგებოდ ვრცელ ნაშრომს-"პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე" უძღვნის დიდ ილიას, თანაც საგანგებოდ აღნიშნავს, რომ შრომა ჯერ კიდევ არაა სრული სახის.

არჩილ ჯორჯაძის საგანგებო ინტერესის საგანია ილია ჭავჭავაძის ეროვნული იდეალები, მწერლის ეროვნული პროგრამა. ამ თვალსაზრისითაა განხილული წერილში ილია ჭავჭავაძის წერილები "ზოგიერთი რამ", "ბატონ იანიკოვის წერილის გამო", "აი ისტორია" და ა.შ. ამავე ეროვნული პროგრამის თვალსაზრისითაა, ნაშრომში მსჯელობა ილიას 'მგზავრის წერილებზე', რომელსაც დიდ მნიშვნელობის თხზულებად მიიჩნევს ქართულ სინამდვილეში. ვრცლად არის ციტირებული ეს მოთხრობა წერილში, განსაკუთრებული ყურადღების საგანია ორი ეპიზოდი- "თერგისა და მყინვარის" "შეპირისპირებისა და მოხევე ლელთ ღუნიასთან საუბრისა.

ყველგან და ყველაფერში ჩანს რომ ილიას ეროვნული იდეალები არჩილ ჯორჯაძის თვალსაზრისით საყოველთაო იდეალებია, უცვლელი და მომავალი თაობებიც მას უნდა გაჰყვნენ.

სხვაგან არჩილ ჯორჯაძე საუბრობს ილიას პროზის შედეგზე "კაცია-აღამიანზე!". პუბლიცისტი მოხიბლულია ამ მოთხრობით. "კაცია-აღამიანი" არჩილ ჯორჯაძეს მიაჩნია ჭეშმარიტ იდეალად მხატვრული თვალსაზრისით, რეალურობის თვალსაზრისითაც, რამდენადმე განსხვავებულია კრიტიკოსოს მსჯელობა ილიას სოციალურ-ეკონომიკურ შეხედულებებთან დაკავშირებით, რაც ამჟამად ჩვენი განხილვის საგანი არ უნდა იყოს.

არჩილ ჯორჯაძე თავის ნაშრომებში ვრცლად შეჩერდა 60-იან წლებზე ქართულ ლიტერატურულ და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

არჩილ ჯორჯაძემ აიყვანა კონცეპტუალურ სიმაღლეზე თეორია" მამათა" და "შვილთა" შორის ბრძოლისა - ანუ თაობათა ბრძოლისა XIX ს.60-იან წლებში. ეს აზრი ადრეც ფართოდ იყო გავრცელებული, მის წინააღმდეგ ხმის ამაღლება თავის დროზე (1892) თვით დიდ ილიას დასჭირდა, მაგრამ ვითარება მაინც არ შეიცვალა და შემდეგ

არჩილ ჯორჯაძის მიერ მწყობრად მოწოდებული თვალსაზრისი საყოველთაოდ იქნა გარკვეულ მკვლევართა მიერ გაზიარებული.

მოგვიანებით, XX ს.50-იან წლებში, საგანგებოდ იქნა გააზრებული ამ თეორიის თანმიმდევრობით დაცვის შემთხვევაში სავალალო შედეგები ქართულ საზოგადოებრივი და ლიტერატურული აზრის განვითარების თვალსაზრისით და ილიას ნააზრევზე დაყრდნობით და პოლემიკის კონკრეტული მასალის ღრმა ანალიზის საფუძველზე უსაფუძვლობაც და მიუღებლობაც "თაობათა ბრძოლის" თეორიისა.

ცხადყოფილ იქნა რომ მე-19 საუკუნის ქართულ საზოგადოებრივი და ლიტერატურული აზრი წარმოადგენს განვითარების ერთ უწყვეტ ჯაჭვს, მეცხრამეტე საუკუნის ქართული აზროვნება არის ერთი მთლიანობა. რომ 60-იანი წლები წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს ქართული კულტურის და საზოგადოებრივი აზრის განვითარებისას, რომ იგი მემკვიდრეა წინა დროისა, აგრძელებს და ავითარებს მას. რომ 60-იან წლებში გამართული ცხარე პოლემიკა არ არის დასტური აზრთა პრინციპული შეუთავსებლობისა და მათ შორის ბრძოლისა.

ამ შემთხვევაშიც დიდია არჩილ ჯორჯაძის ნააზრევის მნიშვნელობა, რადგან მასთან პოლემიკაში დადგინდა რუსულ სინამდვილეზე მორგებული კონცეფციის სიმცდარეც და მიუღებლობაც ქართული სინამდვილისთვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდია არჩილის როლი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების გზაზე და სწორედ ამაზე მოგვითხრობს მის შესახებ არსებული მოგონებები. არჩილი იყო სიცოცხლის მოყვარული ადამიანი რომელიც ბოლო ამოსუნთქვამდე ემსახურებოდა საზოგადოებრივ საქმეს.

დამონშებული ლიტერატურა:

1. გუგუშვილი პ., ქართული ჟურნალისტიკა, თბ. 1941
2. ვეგენიძე ი., ილია ჭავჭავაძე როგორც მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი, ილიას კრებულში, ილია ჭავჭავაძის მუდმივი სემინარის შრომები, ტ. 1, თბ., 1998
3. ზანდუკელი მ., ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. 2, თბ., 1953
4. კიკნაძე გრ. მეტყველების სტილის საკითხები, თბ. 1957
5. კიკნაძე გრ., ნიკოლოზ ბარათაშვილი, წიგნში „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, წიგნი 1, თბ., 1956
6. მოგონებანი, ნინო ნაკაშიძე, 1946
7. კოტეტიშვილი ვ., რჩეული ნაწერები, წიგნი 1, თბ., 1965
8. რადინი შ., ახალი ქართული ლიტერატურა, თბ., 1954
9. საქართველოს რაინდი, „ივერთა მზე“ 1991
10. შევარდნაძე ხ., ტიციან ტაბიძე და XIX საუკუნის ქართული მწერლობა, თბ., 2015
11. წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად, ტ. 7, თბ., 2015
12. ნონელია ვ., არჩილ ჯორჯაძე, ცხოვრება და მოღვაწეობა თბ. 1992
13. ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 3, თბ. 1953
14. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი მე-5, 1991
15. ხუნდაძე ს., სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1931
16. ჯორჯაძე ა., წერილები, თბ., 1989

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Master's Degree: Georgian literature

Maia Darchiashvili

Archil Jorjadze XIX Century Georgian Literature Historian and Critic

This paper is done for conferring Academic degree of Georgian literature

Master

Master's paper Mentor

Lado Minashvili

Associate Professor

Tbilisi

2019